

გათუშის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტუდია „ანთროპო“

მანუჩარ ლორია

მულტიმედიური საქართველო და
ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფა

ვიზუალურ ანთროპოლოგიური კვლევა



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2016

ნაშრომში პირველადაა თავმოყრილი და მთლიანობაში წარმოდგენილი ქართულ ფილმებში ასახული მულტიეთნიკური საქართველოსა და ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფასთან დაკავშირებული ვიზუალურ ანთროპოლოგიური კვლევა.

ნიგნი ინტერდისციპლინარული ხასიათისაა და იგი განკუთვნილია ანთროპოლოგების/ეთნოლოგების, რეგიონმცოდნეების, კულტურის მკვლევარების, ისტორიკოსების, რეჟისორების, ჟურნალისტებისა და მეცნიერების სხვა დარგის სპეციალისტებისათვის. აგრეთვე, სტუდენტებისა და დაინტერესებული საზოგადოების ფართო წრისათვის.

რედაქტორი **ნუზარ მგელაძე**
პროფესორი

რეცენზენტები: **იმზარ მაკარაძე**
პროფესორი


თემურ ტუნაძე
პროფესორი

© მ. ლორია 2016

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2016

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@gmail.com

ISBN 978-9941-22-732-5



შინაარსი

შესავალი.....4

თავი პირველი
მულტიეთნიკური საქართველო.....6

თავი მეორე
ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფა.....60

დასკვნები.....93

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები.....96

**MULTIETHNIC GEORGIA AND THE GEORGIAN
ETHNOGRAPHIC LIFE: Visual anthropological
research**.....104

შესავალი

სხვადასხვა ვიზუალური მასალის გამოყენებამ ანთროპოლოგიური კვლევის პროცესში საფუძველი დაუდო ვიზუალური ანთროპოლოგიის ჩამოყალიბებას. გამოჩენილი ამერიკელი ანთროპოლოგი მ. მიდი წერდა: „ვიზუალურ ანთროპოლოგიის მთავარი მიზანი უნდა იყოს კულტურის აუდიო-ვიზუალური დოკუმენტაცია და ანალიზი... ვიზუალური მასალები, რომლებიც ინარჩუნებენ დროის რეალობას, წარმოადგენენ ახალი ჰიპოთეზის აღუწერელ წყაროს“ საჯაროდ¹.

ნაშრომში ვიზუალური ანთროპოლოგიის მეთოდოლოგიური მიდგომებით პირველადაა თავმოყრილი და მთლიანობაში წარმოდგენილი ქართულ ფილმებში ასახულ მულტიეთნიკური საქართველოსა და ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, 2007 წელს გადაღებული 9 დოკუმენტური ფილმი, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების – სომ-

¹ **ობ.:** *Лория М.* Этнографические зарисовки и их значение в визуальной антропологии.- *Аудиовизуальная антропология: теория и практика*, Москва, 2008; *Balicki A.* The Legacy of Margaret Mead: the Case of Visual anthropology. In: *Bulletin of the International Committee on Urgent Anthropological Research*. Vienna. Vol. 8., 1987; მისივე, *Anthropologist and Ethnographic Filmmakers*. In: *Anthropological Filmmaking*. J' Rollwagen, ed. NY Harwood, 1988; *Mead M.* Visual Anthropology in a Discipline of Words. In: *Principles of Visual Anthropology*. P. Hockings, ed. Mouton, 1995.

ხების, აზერბაიჯანელების, ებრაელების, ბერძნების, ქურთების, ქისტების, უდიების, უკრაინელებისა და ოსების ეთნოისტორიისა და კულტურის შესახებ. რაც შეეხება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფას აქ განხილულია: აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჩა-ლეჩხუმს, ჯიმ შვანთე, ხევისბერი გოჩა, ნატვრის ხე, სვანი, მირიან ხუციშვილის (მთიულეთ-გუდამაყარი, ყველიერი საქართველოში, ხევსურეთი...), სოსო სტურუასა (ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, დათვა-ბოყვა, სარფი მოლენიმეცხვარის ნაბადი, სვანური ქუდი, საახალწლო ჩვეულებანი და სხვ.) და ჩვენს მიერ მომზადებული ფილმები (ალპური დასახლება აჭარაში (გოდერძის უღელტეხილი-ბეშუმში), ნიგაზეული, დათვისფება თხილამური, რძის პროდუქტები).

წიგნი ინტერდისციპლინარული ხასიათისაა და იგი განკუთვნილია ანთროპოლოგების/ეთნოლოგების, რეგიონმცოდნეების, კულტურის მკვლევარების, ისტორიკოსების, რეჟისორების, ჟურნალისტებისა და მეცნიერების სხვა დარგის სპეციალისტებისათვის. აგრეთვე, სტუდენტებისა და დაინტერესებული საზოგადოების ფართო წრისათვის.

თავი პირველი

პოლიეთნიკური საქართველო

საქართველო პოლიეთნიკური სახელმწიფოა, სადაც ქართველების გვერდით ცხოვრობენ სხვადასხვა ერისა და რელიგიის წარმომადგენლები. აქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისათვის ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობებია ქრისტიანობა (მართმადიდებლობა, კათოლიციზმი და გრიგორიანობა), ისლამი და იუდაიზმი. საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდაა განსაზღვრული რომ, საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ².

² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38.- საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38.- [http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO &sec_id=69 &kan_det=det&kan_id=23](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=23)

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოში ცხოვრობდა: ქართველი – 284761; აზერბაიჯანელი- 248929; სომეხი – 67671; რუსი – 38028; ოსი- 3527; აფხაზი – 18329, იეზიდის- 15166; ბერძენი- 7110; ქისტი- 7039; უკრაინელი- 651, გერმანელი- 455; თათარი- 542; ბელორუსი- 441; თურქი – 870; პოლონელი- 2514; ქურთი 1271; ჩეჩენი-864; მოლდოველი- 3772; ებრაელი 472, ბოშა 3299.³

დემოკრატიული ფასეულობების დამკვირვების, მათ შორის ტოლერანტული შეხედულებების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ეთნოსთა თუ რელიგიათა კულტურული ფასეულობების ურთიერთგაცნობას, მათ დაახლოებას, რაშიც თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ. მათი თანაცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთპატივისცემის ნიადაგზე, რისთვისაც აუცილებელია ცალკეული რელიგიური თემების კულტურულ მიღწევათა გაცნობა. საზოგადოება უნდა იყოს ფართოდ ინფორმირებული სხვადასხვა რელიგიათა კულტურული მიღწევების შესახებ, რათა საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის ფარგლებში ადამიანებს ჩამოუყალიბდეთ სხვა რელიგიისადმი პატივისცემისა და შემწყნარებ-

³ საქართველოს მოსახლეობის 2000 წლის, I, 2003, გვ. 110.

ლობის უნარი. ამ მხრივ საინტერესოა 2007 წელს გადაღებული 9 დოკუმენტური ფილმი, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების – სომხების, აზერბაიჯანელების, ებრაელების, ბერძნების, ქურთების, ქისტების, უდიების, უკრაინელებისა და ოსების ისტორიისა და კულტურის შესახებ. დოკუმენტური ფილმების ციკლი მოამზადა საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, რომელიც დააფინანსა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USID) და განახორციელა საქართველოს გაეროს ასოციაციამ.

ნაშრომში განვიხილავთ ფილმში ასახულ ცხრავე ეთნიკურ ჯგუფს.

სომხები.⁴ სომხები (თვითსახელი - ჰაი) წარმოადგენენ სომხეთის რესპუბლიკის ძირითად მოსახლეობას. კომ-

⁴ **დანვრ. იხ.:** დოკუმენტური ფილმები “მრავალეთნიკური საქართველო” (სომხები) , DVD, თბილისი, 2007; ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა, თბილისი 1996; თეთვაძე შ., თეთვაძე ო., სომხები საქართველოში, თბილისი, 1998; მაისურაძე გ., საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.), თბილისი 1999; ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბილისი 2003; საქართველოს მოსახლეობის აღწერის ძირითადი მონაცემები, თბილისი 2002, ტ. I-II, ეთნოსები საქართველოში, თბილისი, 2008; რელიგიები საქართველოში, თბ., 2008.

პაქტურად ცხოვრობენ მსოფლიოს სამოცზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოსა და რუსეთში. მრავლად არიან შეერთებულ შტატებში, კანადაში, საფრანგეთში, ავსტრალიაში, მახლობელსა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. სომხური ენა შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახში. ამჟამად სომხები ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში, განსაკუთრებით თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ფილმი იწყება თბილისის სომხური თეატრთან დაკავშირებული საკითხებით. ხასგასმულია ის ფაქტი, რომ სომხეთის გარდა საქართველო ერთადერთი ქვეყანაა სადაც სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი არსებობს. თეატრი თბილისში 150 წლის წინ გაიხსნა და იგი თბილისის სომხური სათვისტომოსთვის ერთმანეთთან შეხვედრის საუკეთესო ადგილია. მსახიობ რობერტ ოგანესიანს ის დროც ახსოვს როდესაც თეატრში საპატარძლოს ასარჩევადაც რომ დადიოდნენ.

ფილმში აღწერილია სომხების საქართველოში დასახლება. სომეხთა პირველი კომპაქტური დასახლებები საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნეში მოხდა, კერძოდ 1830 წელს, როდესაც მეფის რუსეთის მთავრობის გენერალმა პასკევიჩმა ყარსიდან, არდაგანიდან, ბაიაზეთიდან და არზრუმიდან სამცხე ჯავახეთსა და ქვემო

ქართლში 95000 ქრისტიანი სომეხი ჩამოსახლა. იმ წელს ხელისუფლების გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზით იყო გამონწვეული. ერთ-ერთი მიზეზის მიხედვით, სომხებს საქართველოში ვაჭრობის საქმე უნდა წამოენიათ, რადგან მთელ კავკასიაში საუკეთესო ვაჭრებად იყვნენ ცნობილნი. გარდა ამისა, მათ, თავიანთი მჭიდრო დასახლებებით, საქართველოს სამხრეთ საზღვარი უნდა გაემაგრებინათ. ამის გამო ახალჩამოსახლებულები ორ ნაწილად გაჰყვეს — ვაჭრობაში განაფულნი ბარში დაასახლეს, გლეხობას კი — მიწები მთიან სოფლებში გამოუყვეს. აქედან მოყოლებული სომხურმა ეთნოსმა საქართველოში ფეხი მძლავრად მოიკიდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობა ორ მეზობელ ქვეყანას ადრეული საუკუნეების განმავლობაშიც ხშირი ჰქონდა. გარკვეულ როლს სომხები საქართველოში ისტორიაში შუასაკუნეებშიც ასრულებდნენ. საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოში სომხების რიცხვმა საგრძნობლად მოიმატა. 1975 წელს საქართველოში უკვე 448 ათასი სომეხი ცხოვრობდა, რაც საქართველოს მოსახლეობის ცხრა პროცენტს შეადგენდა. მდგომარეობა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში შეიცვალა. გარდამავალ პერიოდში თავიანთ ისტორიულ სამშობლოს ათასობით სომხური ოჯახი დაუბრუნდა. ბოლო მონაცემებით, საქართველოში 248 000 სომეხი დარჩა.

მათი დიდი ნაწილი თავიანთ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევს. თუმცა, არც სომხურ ადათ-წესებს ივინყებს.

ფილმში დეტალურადაა აღწერილი სომხების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ სავაჭრო ქარვასლები, ფოტოგრაფია, მხატვრობა, არქიტექტურა და მეცენატობა. მოთხრობილია თბილისელი ცნობილი რეჟისორის სერგო ფარაჯანოვის საქმიანობაზე. ამ ცნობილი რეჟისორის ნამუშევრები ძირითადად კავკასიის ეთნიკურ მრავალფეროვნებას ასახავდა. ფარაჯანოვის პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარი იყო “მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები” (1964), რომელმაც საერთაშორისო აღიარება ჰპოვა მისი ფერადოვნებით, კოლორიტული კოსტიუმებითა და სოფლის ცხოვრების უცნაური აღწერით. მისი უდიდესი ნამუშევარი — “ბრონეულის ფერი” (1969), თბილისელ პოეტ საიათნოვას ცხოვრებას ასახავს. “ამბავი სურამის ციხისა” (1984), მისი ადრეული ნამუშევრების ფერადოვნების გამოძახილია, ასევე “აშიკი ქერიბი” (1988) და დაუმთავრებელი ავტობიოგრაფიული სერია “აღიარებისა”, რომელიც შემდგომში მიხეილ ვართანოვის ფილმის “ფარაჯანოვი: ბოლო გაზაფხული” ნაწილი გახდა. ფარაჯანოვი 1990 წლის ივლისში გარდაიცვალა ერევანში. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოში დაიბადნენ არაერთი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე სომხური წარმომავლობის პირები. მაგალითად, წარმოშობით

თბილისელი იყო მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ტიგრან პეტროსიანი. მესხეთიდან საფრანგეთში ემიგრირებული მომღერალი შარლ აზნავური (აზნაურიანი). ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის ტრადიციას ღირსეულად აგრძელებენ პოეტი გივი შაჰნაზარი, ფოტოხელოვანი იური მეჩითოვი და სხვ.

ფილმში განხილულია სურბ სარქისის დღესასწაულიც. სომეხთა ეკლესიის წმინდანის სახელი სიყვარულსა და ოცნებების ახდენას უკავშირდება. ამ დღისთვის მარილიანი კვერები და ქუმელას ფაფა მზადდება. საველე მასალებშიც ნათლად ჩანს, რომ ამ დღეს ზოგიერთი ახალგაზრდა მარილიან კვერს ჭამს, რადგან ითვლება, რომ ვინც მოწყურებულს სიზმარში წყალს მიაწვდის, ის იქნება მისი საბედო. სოფ. პამაჯას მცხოვრებთა თქმით, სურბ სარქისის სახელი კონფესიურ დაპირისპირებასთან არის დაკავშირებული. საბრძოლოდ წასულ სარქისს საგზლად წაუღია მოხალული ქერი („აღანძ“). რვადღიანი შეუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ აღანძი ქერის ფქვილად („ფოხინდ“) გადაიქცა. ამ მოვლენის აღსანიშნავად სურბ-სარქისობაზე ფოხინდს გარეთ, კართან, აწყობენ, რათა როდესაც სურბ სარქისი გამოივლის, მასზე ნაკვალევი დატოვოს.

ფილმში საინტერესოაა განხილული საქორწინო ტრადიციები. მოცემულია ქორწილის ნათლიის ინსტიტუ-

ტის მნიშვნელობა. ნათლია მეფე პატარძლის შემდგომ ყველაზე პატივცემული პირია. ტრადიციის თანახმად საქორწინო კაბასა და საქორწინო აქსესუარებს პატარძალს ნათლია ჩუქნის. ამიტომ ხშირად ხდება ისეც, რომ თავის კაბას პატარძალი ჯვრისწერის დროს ნახულობს. სომხური ტრადიციით სიძე პატარძალს ოჯახისგან ისყიდის. საქორწინო რიტუალი სომხურ ეკლესიაში ჯვრისწერით მთავრდება. საქორწინო რიტუალთან დაკავშირებით, უნდა დაემატოს ის, რომ ზოგადად სომხური ოჯახი და ნათესაური გარემო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქორწინო ციკლში. საპატარძლოსა და სასიძოს შერჩევას ქალ-ვაჟის ოჯახი, ტრადიციულად, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. მთავარი ყურადღება ექცევა სარძლოს ან სასიძოს ოჯახის სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას, მათი მშობლების სანათესაო წრეს, თავად კანდიდატის პირად თვისებებსა და ჯანმრთელობას. შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა საქმროს ან საცოლის გარეგნობას, რასაც თვითონ ახალგაზრდები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. როდესაც გარკვეული წინაპირობა შეიქმნებოდა, ვაჟის ოჯახი შუამავალს („მიწნორთ“) გაუგზავნიდა ქალის მშობლებს. შუამავალი უნდა ყოფილიყო ოჯახის ახლობელი, რომ საიდუმლო არ გაემჟღავნებინა. შუამავალი მოლაპარაკებას აწარმოებდა ქალ ვაჟის დედ-მამას შორის. მას შეიძლება რამდენჯერმე დას-

ჭირვებოდა მისვლა, ვიდრე საპატარძლოს მშობლებს არ დაითანხმებდა, თუმცა ეს თანხმობაც პირდაპირ არასოდეს წარმოითქმოდა. შემდეგ ეტაპზე ქალიშვილის ოჯახს უკვე ვაჟის მშობლები და ბიძა ესტუმრებოდნენ მოსალაპარაკებლად („ხოსტევილ“). ამ დროს სახელდახელო სუფრა გაიმართებოდა და ოჯახები ნიშნობაზე („ნიშანდრექ“) შეთანხმდებოდნენ.

ნიშნობა უნდა გამართულიყო უქმე დღეებში, შაბათ-კვირას ან რომელიმე რელიგიურ დღესასწაულზე. ვაჟის მხრივ, მიდიოდა 4-5 კაცი, მათ შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნათლია, ამ რიტუალს აუცილებლად უნდა დასწრებოდა ქალის ნათლიაც. ვაჟის მხარე მიიტანდა ოქროს ბეჭედს, სამკაულებს, ყვავილების თაიგულს, სასმელს ბოთლების კენტი რაოდენობით (უფრო ხშირად კონიაკს). გაიშლებოდა სუფრა, რომელზედაც ქალის ოჯახიც კენტი რაოდენობის ჭურჭლით დადგამდა სასმელს. სუფრაზე უნდა ყოფილიყო ტკბილეული, სუნჯუკი, ბასთურმა, მწვადი, თევზი, ყაურმა, ხაშლამა, ბაზუქი (მწნილი), ჩაი და ყავა. სუფრასთან პირველად დასვამდნენ ვაჟის წარმომადგენლებს, შემდეგ – ქალის ნათესავებს. სარძლოს ნიშანს სადედამთილო გადასცემდა და თან დალოცავდა – „ერთ ბალიშზე დაბერდით და გამრავლდით“. სომხურ ყოფაში სრულწლოვანი წყვილის ნიშნობის გარდა, წინათ არსებობდა დაუბადებელ ბავშვთა ნიშნობა და აკვანში

ნიშნობა („ბემ-ჰიკ-ქერტსმა“). ნიშნობის შემდეგ სასიძო ესტუმრებოდა ხოლმე მოყვრებს, თან საჩუქრები მიჰქონდა ბოხჩით: თავსაფარი, ტკბილეული და ა.შ. მიღებული იყო საპატარძლოს მოპატიჟებაც ვაჟის ოჯახში. მომდევნო ეტაპი იყო ქორწილი („ჰარსნიკ“) ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ ვაჟის ოჯახში....

ფილმში აღნიშნულია, რომ ტრადიციულად ძირითადად საქართველოში მცხოვრები სომხები სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლს ეკუთვნიან. ცალკე განხილულია ახალქალაქის სომხური სათვისტომო. აღნიშნულია რომ ადგილობრივი სომხური მოსახლეობა მინათმოქმედებით ირჩენს თავს და მათ მჭიდრო ეკონომიკური კავშირი აქვთ ისტორიული სამშობლოსთან, აღნიშნულია ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ფლობს ქართულს და განხილულია ქართული ენის სწავლების სპეციფიკა.

ფილმში ხასგასმულია, რომ ავლაბარში ელიას მთაზე სომეხ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა პანთეონია. იქ სხვა სომეხ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ცნობილი თბილისელი პოეტი ოვანეს თუმანიანი დაკრძალული. დღეს საქართველოში 174 საშუალო სომხური სკოლა ფუნქციონირებს.

აზერბაიჯანელები.⁵ ფილმი იწყება აზერბაიჯანელი დრამატურგის მირზა ფათალ ახუნდოვის მოღვაწეობის გაცნობით რომელიც თბილისში ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და აქაა დასაფლავებულია. დრამატურგის პირველი პიესები ჯერ კიდევ 1872 წელს იდგმებოდა თბილისში. ახუნდოვის კომედიებმა საფუძველი დაუდა აზერბაიჯანულ დრამატურგიას. აქ ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს ასევე, მირზა შაფი ვაჰეზ, ნარიმან ნარიმანზადე (ნარიმანოვი), მირზა ალი აბბასოვი, მირზახან გულიევი, ქერიმ-ბეი შერიფლი. ფილმში შემდგომაა განხილული აზერბაიჯანელების მასობრივად საქართველოში მე-17 საუკუნეში გამოჩენა. მაშინ შაჰ-აბას მეორემ ირანიდან ქვემო ქართლსა და კახეთში თურქი იელები ჩაასახლა. თუმცა თბილისში აზერბაიჯანელები გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ. ერთხელ, დავით აღმაშენებელი მუსულმან მლოცველებს მეჩეთში სწვევია, მათ შორის, აზერბაიჯანელებიც იყვნენ აღნიშნულია ფილმში. საქართველოში აზერბაიჯანელები ძირითადად ქვემო ქართლსა და

⁵ Loria M. Historical and ethnocultural aspects in the documentary Multinational Georgia (Azeri) .- Innovative Aspects of Study of the Black Sea Countries Culture, History, Anthropology, Literature and Linguistics, Blagoevgrad / Batumi, II, 2012, გვ. 397-399. **ასევე, დანვრ. იხ.:** დოკუმენტური ფილმები “მრავალენიკური საქართველო” (აზერბაიჯანელები) DVD, თბილისი, 2007; ეთნოსები საქართველოში, თბილისი, 2008; რელიგიები საქართველოში, თბ., 2008.

კახეთის რამდენიმე სოფელში სახლობენ (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, საგარეჯო). თბილისში კი ყველაზე მეტი აზერბაიჯანელი ორთაჭალაში, თათრის მოედანზე ცხოვრობს. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ზოგიერთი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ თურქულენოვანი ტომები (ბუნთურქები, საბირები) კავკასიაში და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩნდებიან. 1865 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით აქ ცხოვრობდა 51,5 აზერბაიჯანელი; 1886 წელს - 62,6; 1897 წელს - 81,1. ამის შემდეგ ჩვენ გაგვაჩნია 1926 წლის აღწერის მონაცემები, რომლის მიხედვით საქართველოში იყო 143,951 აზერბაიჯანელი; 1939 წლის აღწერით კი 187,621; 1959 წელს - 153,6; 1970 წელს - 217,8; 1979 - 255,7; 1989 წელს - 307,5. ოლო 2002 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 284,761 აზერბაიჯანელი, მათ შორის თბილისში - 10,942.

ფილმში დახასიათებულია ძველი თბილისის აბანოები და ქისის რიტუალი. ჭრელ აბანოებში განსაკუთრებული წესებია შხაპის მიღებისა და საგულდაგულო დაბანის გარეშე საერთო აუზში ჩასვლა აკრძალულია. გოგირდის წყლიან აუზში კლიენტი ტანს ილბობს და მექისეს ელოდება. მექისეობა მემასაჟის მსგავსი საქმიანობაა. უნდა ითქვას, რომ 14 საათიან ორთქლში,

გოგირდის სუნში, პრიალა ქრელ კედლებში, ხელზე ნა-
მოცემული ქისა, დაძაბული კიდურები, აჩქარებული
პულსაციას ახდენს. ამ პერიოდში ხდება მოდუნებული
სხეულის გაახალგაზრდავება და გახალისება. დღეს მე-
ქისეობა ეგზოტიკური პროფესიაა. ოდესღაც იგი ქალაქუ-
რი ყოფითი კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო. თბი-
ლისურ აბანოებში სადედამთილო სარძლოს სინჯავდა,
ხანუმას ხელშეწყობითა და დახმარებით. აბანოს შეეძლო,
ემცნო დედამთილისთვის, მისი ვაჟის რჩეულს მუცელზე
ბალანი ხომ არ ეზრდებოდა, ილღიებში ავადმყოფურად
ხომ არ დაჰბერვოდა ჯირკვლები, ფეხებს მრუდედ ხომ არ
ადგამდა, უხეში და დიდი ქუსლები ხომ არ ჰქონდა ან
წყლის ქვეშ ბატის კანივით ხომ არ ებურძგლებოდა
მშრალი და უსიცოცხლო კანი... ქისის შემდგომ კლიენ-
ტები არომატულ ჩაის მიირთმევენ. ასეთ ჩაის მხოლოდ
ჩაიხანაში ამზადებენ, რომელიც აბანოსთან ახლოს იოსებ
გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარეობს. აქ ზოგადად აზერბაი-
ჯანელი მამაკაცები ყოველდღიურად იკრიბებიან და ეს
ადგილი მათთვის ერთგვარი კლუბის როლს ასრულებს.
საინტერესოა ჩაის სმის წესი. მას აუცილებლად წელშიგა-
მოყვანილი პატარა ჭიქით მიირთმევენ და ნატეხ შაქარს
აყოლებენ. როდესაც ჩაი აღარ სურთ ფინჯანზე ჭიქა
გვერდულად უნდა დადონ. თუ რომელიმე კლიენტმა ჭიქა
თავდაღმა დატოვა და ნატეხი შაქარი თავზე დაადო

ესეიგი ნაყენი არ მოენონა. ეს აზერბაიჯანელი მეჩაიხანისთვის ყველაზე დიდი სირცხვილია. შემდგომ განხილულია სოფელ ნახიდურის მამაკაცების სოფლის ჩაიხანა, რომელიც გართობისა და ინფორმაციის მთავარი წყაროა. ფინჯან ჩაისთან ერთად საუბარში დრო მათთვის შეუმჩნეველად გადის. იქვე იმართება სოფლის უხუცესთა კრებაც.

ფილმში საინტერესოაა დახასიატებული აზერბაიჯანელთა საქმიანობა. აზერბაიჯანელი მამაკაცი საოჯახო საქმეებში იშვიათად ერევიან. სახლის პრობლემებით როგორც წესი ქალები არიან დაკავებულნი. სადილის მომზადება, საოჯახო სისუფთავე და ბავშვების მოვლა ქალების მოვალეობაა. სოფლებში ამას საქონლის მოვლა და ხშირად პურის გამოცხოვაც ემატება. აზერბაიჯანელი ქალი ფლავის მომზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. აზერბაიჯანელთა ტრადიციით გასათხოვარი ქალი მათში განათლებით, მზითვითა და კარგი ფლავის მომზადებით ფასდება.

ფილმში განხილულია საქორწინო რიტუალიც. ქორწინლის სეზონი საქართველოს აზერბაიჯანლებში შემოდგომაზე იწყება. ამ დროს მოსავალი აღებულია და ოჯახს საქორწინო სუფრა უადვილდება. საქორწინო სუფრაზე აზერბაიჯანულთან ერთად ბევრი ქართული კერძია. მართალია, ისლამი ალკოჰოლურ სასმელს კრძალავს, მაგრამ

საქართველოში აზერბაიჯანელის ქორწილი ღვინისა და თამადის გარეშე წარმოუდგენელია.

ფილმში მართებულადაა შენიშნული, რომ გარდა იმისა რომ საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა შეინარჩუნეს თავიანთი რელიგია, ენა და ადათ-ნესები, დაამატეს და შეცვალეს კიდევაც ზოგიერთი ტრადიცია ქართულით. რაც შეეხება დაკრძალვის წესს, მუსულმანური ადათით, დილას გარდაცვლილს აუცილებლად მზის ჩასვლამდე კრძალავენ, საქართველოში კი აზერბაიჯანელები მიცვალებულს სახლში სამ დღეს აჩერებენ. დაკრძალვასთან დაკავშირებით აუცილებლად აღსანიშნავია, ისიც რომ აზერბაიჯანელთა ყოფით რიტუალებში ყველაზე არქაულად მიჩნეულია დაკრძალვის ცერემონიალი, რომელიც ისლამურ ტრადიციაზეა აგებული და, ამასთანავე, უამრავ ისლამამდელ რიტუალსაც შეიცავს. მომაკვდავს აწვენენ ზურგზე ყიბლას (სამხრეთის) მიმართულებით. შემდეგ კითხულობენ შაჰადათის ლოცვას (სასურველი იყო ეს ლოცვა თავად მომაკვდავს მოესმინა). ახლად გარდაცვლილს უსწორებენ ხელებსა და ფეხებს, უხვევენ თვალებსა და ყბებს. აუცილებელია გარდაცვლილის სამჯერ წყლით ან ქვიშით განბანვა. შარიათი კრძალავს გარდაცვლილის ტანსაცმლით დამარხვას, იგი თეთრი ტილოს სუდარაში გახვეული უნდა დაიკრძალოს. მიცვალებული რაც შეიძლება მალე უნდა

დამარხონ. საფლავს ოჯახის ახლობელი პირები ჭრიან. მისი სიღრმე დამოკიდებულია გარდაცვლილის სქესზე: ქალის საფლავი მკერდამდე, ხოლო მამაკაცის - წელამდე ითხრება. მთელ სოფელს საერთო „ჯანაზა“ (მიცვალებულის საფლავამდე მისატანი ხის ან ლითონის ჭურჭელი) ჰქონდა. მიცვალებული არ უნდა შეხებოდა მიწას, ამიტომ საფლავს ქვით, აგურით ან ფიცრით ამოაშენებდნენ, ზემოდან ხის მასიურ ფიცრებს აწყობდნენ და ისე აყრიდნენ მიწას. დაკრძალვის შემდეგ, საღამოს, საფლავზე ცეცხლს ანთებდნენ, რომლითაც მიცვალებულს საიქიოსკენ უნდა გაეკვალა გზა. ეს რიტუალი ზოროასტრიზმის გადმონაშთად ითვლება. ქელეხისთვის საგანგებო რბილ ლავაშებს - „არატიჩ“-ს - აცხობდნენ, აუცილებელი იყო ასევე ჰალვა და ჩაი. დაკრძალვიდან სამი, შვიდი, ორმოცი და ორმოცდათორმეტი დღის შემდეგ, აგრეთვე, ყოველ ოთხშაბათს, შეკრებები იმართება. ამ შეკრებებზე მოდიან უახლოესი ნათესავები და კითხულობენ ყურანს. აზერბაიჯანელებში გვხვდება როგორც ისლამურ ყაიდაზე - ნახევარმთვარიითა და ვარსკვლავით მოწყობილი - ასევე მიცვალებულის სურათიანი სასაფლაოები.

ფილმში დახასიათებულია აზერბაიჯანელი შიიტი და სუნიტი მუსლიმები. აზერბაიჯანელების დაახლოებით 80% შიიტი, 20% კი სუნიტი მუსულმანია. რამდენიმე წლის წინათ თბილისის მეჩეთი ხის კედლით იყო გადატვიხრული.

ერთ მხარეზე შიიტები ლოცულობდნენ, მეორეზე კი — სუნიტები. 1996 წელს მეჩეთში ახალგაზრდა ახუნდი ალი დაინიშნა. მან ხის ტიხარი დაანგრევინა. იმ დღიდან თბილისის მეჩეთში პაკისტანელი, თურქი, არაბი თუ ქართველი მუსულმანი ერთად იყრის თავს. სუნიტებიც და შიიტებიც გვერდი-გვერდ ლოცულობენ. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში 30-მდე მეჩეთი აშენდა. რამდენიმე სასულიერო სასწავლებელიც დაარსდა, სადაც ბავშვები ყურანის სურებს კითხულობენ.

უბრაელები.⁶ ფილმში მოთხრობილია ებრაელთა ისტორია. მართებულადაა აღნიშნული, რომ ებრაელთა დასახლება საქართველოში ჩვ.წ.აღ.-მდე 586 წელს გაჩნდა. მეფე ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი დაიპყრო და ებრაელთა მთავარი ტაძარი დაანგრია. დევნილმა ებრაელებმა თავი სხვადასხვა ქვეყანას შეაფარეს. მათ

⁶ **დანვრ. იხ.:** აბულაძე ქ., ქართველ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა 1921-1940 წლებში, საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 2000; ვადაჭკორია შ., ებრაელთა საკითხი და ქართული სინამდვილე (1921-1940), თბილისი, 2006; თავდიშვილი რ. ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთ ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, 1940; იველაშვილი თ., ცაგარეიშვილი თ., გვიხმობს მამული მამა-პაპათა (ეძღვნება ისრაელში წასულ ქართველ ებრაელებს და მათ შთამომავლობას), თბილისი, 1995; მესხიშვილი ც., ებრაელთა უბანი ახალციხეში.- მესხეთი (საისტორიო კრებული), ახალციხე, 1997; პაპისმედოვი ი., თვითნასწავლი მხატვარი შ. კობიაშვილი და მისი შემოქმედება.- საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, II, თბილისი, 1941; პაპისმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, განცდილი, თელ-ავივი, 1986; საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბილისი, I, 1940; II, 1941; III, 1945.

შორის იყო საქართველოც. ამის შემდგომ ებრაელები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დასახლდნენ. დროთა განმავლობაში მათი კომპაქტური დასახლებები გორში, სურამში, ქუთაისში, საჩხერეში, ონში და ახალციხეში გაჩნდა. ყოველივე ნათლად დასტურდება ტოპონიმიკური, არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე. ამ მასალებით ირკვევა, რომ საქართველოში საქალაქო უბნების ჩამოყალიბება სხვადასხვა ნიშნით ხდებოდა. ერთ შემთხვევაში უბნები იყოფოდა მოსახლეობის სპეციფიკური საქმიანობის მიხედვით, მეორე მხრივ, ცალკე უბანი ყალიბდებოდა ეთნიკური, რელიგიური და სხვა ნიშნებით. ყოველივე ეს დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ებრაელებისთვისაც. ძირითადად გვხვდება სინაგოგის ირგვლივ წარმოქმნილი კომპაქტური ებრაული დასახლებანი.

ფილმში კომპეტენტურად არის მითითებული, რომ ძველი ტრადიციები და რელიგია ებრაელებმა ბოლომდე შეინარჩუნეს, მაგრამ იმავდროულად ქართული ყოფა და კულტურაც შეითვისეს. 26 საუკუნის განმავლობაში დამკვიდრდა ტერმინიც — ქართველი ებრაელი და მათი მშობლიური ენა ქართული გახდა. ქართულ წეს-ჩვეულებებთან და ყოფა-ცხოვრებასთან გარეგნული მსგავსებების მიუხედავად, ქართველი ებრაელები მაინც ებრაული კანონებით ცხოვრობენ. მათი ეროვნების, ტრადიციების

და ყოფის განმსაზღვრელი რელიგიაა. იუდაიზმის კანონებს და ებრაულ წეს-ჩვეულებებს ებრაელებს ბავშვობიდან ასწავლიან.

ფილმში დახასიათებულია ებრაელთა სინაგოგები, კერძოდ ყურადღება გამახვილებულია ბათუმის სინაგოგაზე. აღნიშნულია, რომ ბათუმის ებრაელთა სალოცავი 1904 წლიდან ფუნქციონირებს. სინაგოგის მშენებლობა თბილისშიც იმავე წელს დასრულდა. გახსნისთანავე ის თბილისელ ებრაელთა თავშეყრის მთავარი ადგილი გახდა. თანდათან თბილისის ებრაული თემი გაძლიერდა. გასაბჭოების შემდეგ, ქართველი ებრაელები მოძმეებს მთელ საბჭოთა კავშირში ეხმარებოდნენ. ფილმში აღნიშნულია ისიც, რომ ქართველი ებრაელები ვაჭრობითა და წვრილი ხელოსნობით იყვნენ ცნობილნი. უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისში კი საქართველოს დიდ ქალაქებში ებრაელები საკუთარ სავაჭრო ქარვასლებს ფლობდნენ. ქუთაისსა თუ ბათუმში მათ დუქნებსა და ღია დახლებს რამდენიმე ცენტრალური ქუჩა ეკავა. თბილისში ებრაელი ვაჭრები ლესელიძესა და მიმდებარე ქუჩებზე საქმიანობდნენ.

ფილმში ყურადღებაა გამახვილებული თვითნასწავლი მხატვრის შალომ კობოშვილის შემოქმედებაზე. შალომი საქართველოში პირველი ებრაელი მხატვარია, რომელმაც ხატვა 61 წლისამ დაიწყო და სამიოდე წელი-

ნადში ებრაული ყოფის ამსახველი 50-ზე მეტი ტილო შექმნა. უნდა აღინიშნოს რომ, ანთროპოლოგიური კვლევის პროცესში ვიზუალური საშუალებების გამოყენებამ საფუძველი დაუდო ახალ სამეცნიერო მიმართულებას – ვიზუალურ ანთროპოლოგიას. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა შალომის შემოქმედება, მის ნახატებში, ძირითადად, ახალციხის ებრაელთა ძველი და ახალი ყოფა იყო ასახული. აჯლა, აგყალა, ავამდყოფი ბავშვი ექიმბაშთან, ამულეტებით მოვაჭრე მისიონერი, ათარა, ბატონების წამლობა, ბავშვის დაბადება, ბავშვის წინდასაცვეთად წაყვანა, ბაზარი ახალციხეში, ბრეთის ბიბლია, დვაცატნიკი, ებრაელთა კვარტალი (ახალციხე), ებრაელი სოფდოგარი, ებრაელთა დარბევა, ლილახანა, მიკვე, მიკვეში დაავადებული ქალი ექიმბაშთან, მისიონერის მიერ ბავშვების კურთხევა, მოჯამაგირე ბიჭი, მეკურტნეები, მდიდარი ებრაელის ცოლი მიდის აბანოში, მალკუტი, ნეფე, პატარძალი, პატარძლის წაყვანა აბანოში, სიმხა თორის დღესასწაული, ფულის განაწილება აგყალის შემდეგ, ფურიმი, ფინჯრაობა, ფალახაზე აყვანა, ქუჩაში მოვაჭრე მენვრილმანეები, ქათმის დაკვლა რიტუალური წესით, ყმა ებრაელების გაყიდვა ფეოდალების მიერ, ხელსაქმე, ხერიმი-ანათემა, შაქარ პურის გატანა, ცეკვა, ჯეიზი და სხვ. ჩამოთვლილ ნახატებში დეტალურადაა მოცემული საქართველოს ებრაელთა ყოველდღიური ცხოვრების

თავისებურებანი. პირობითად შეგვიძლია განვიხილოთ ერთი სურათი ებრაული კვარტალი ახალციხეში. ტილო თავისი კოლორიტითა და ერთმანეთზე ჯაჭვივით გადაბმული ქოხმახებითა თუ მინური სახლებით, კარგად მოფიქრებული, საამო და მიმზიდველ ფერებში გამოსატულ სინამდვილეს ასახავს. აულის მსგავს უბანში თავისი სიდიდით და კეთილმოწყობით სინაგოგის მხოლოდ ორი შენობა გამოირჩევა. ამით მხატვარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ღარიბი ებრაელობა ქოხმახებში ცხოვრობდა, მაგრამ მათი ნაშრომი გროშებით მაინც საუკეთესო სინაგოგები შენდებოდა. ამას სხვა ავტორებიც ადასტურებენ. ი. დავიდი აღნიშნავს, რომ „ებრაული მოსახლეობა ახალციხეში ცხოვრობდა მიწისქვეშა ქოხებში, სადაც სინათლე სახურავიდან ჩამოდიოდა“. 1932 წლის საქართველოს ეროვნული უმცირესობების კომისიის აღწერის მიხედვით, ახალციხის ებრაელთა სახლები იყო ერთსართულიანი, ზოგჯერ ნახევრად მინურიდან შედგებოდა 2 ოთახისაგან. მდიდრებს ჰქონდათ 3 ოთახიანი, იშვიათად 10-12 ოთახიანი სახლები, რომელშიც ცხოვრობდა 60-70 სული. სახლები ძირითადად მინურიატაკიანი იყო, განსაკუთრებით სამზარეულო სადაც უმეტეს დროს ატარებდნენ. საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი ფ. მახარაძის მიერ 1933 წელს გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშ-

ნულია: „სახლები, სადაც ცხოვრობს ებრაული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, წარმოადგენენ ნახევრად დანგრეულ მიწურებს, რომლებიც აუშენებიათ ფიჩხ-ძეძვისაგან. ისინი ნესტიანია, ბნელი, უშუქო და უჰაერო. დაუცველია ქარის წვიმის და სიცივისაგან. თითქმის მთელს მოსახლეობას ერთ სულზე აქვს ერთობ არასაკმარისი ფართობი – 1 კვ.მ. მრავალწლიანი ოჯახები ცხოვრობენ ერთ ოთახში, რომელთა ფართობი 10-15 კვ.მ-ს არ აღემატება, და არა აქვთ არავითარი სათავსოები. სახლები ისე ახლოსაა განლაგებული ერთმანეთთან, რომ მცირედი ხანძრის შემთხვევაშიც კი, ცეცხლი მოიცავს მთელს კვარტალს და ასობით ათასები გახდებიან სტიქიური უბედურების მსხვერპლი“. ებრაელთა საცხოვრებელი, რიგ შემთხვევაში რელიგიურ სტატუსსაც იძენდა. ი. პაპისმედოვი აღნიშნავს: „გორში მცხოვრებ ებრაელთა 16-17 ოჯახი ერთ დიდ, ორსართულიან შენობაში ბინადრობდა. შენობის მეორე სართულის ბოლოს, ერთი დიდი ოთახი ლოცვას ჰქონდა დათმობილი, ლოცვის ქვეშ პირველი სართულის დაბლა სარდაფში, გაკეთებული იყო ერთაუზიანი მიკვე რომელიც გორელ ებრაელთა მთელ საზოგადოებას ეკუთვნოდა“. აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით შ. კობიაშვილმა 1938 წელს შექმნა ეთნოგრაფიული ხასიათის სურათი: „მიკვე“ და „მიკვეში დაავადებული ქალი ექიმბაშთან“. ქორწილის წინა დღეს

ებრაელი ქალი მიკვეში მიჰყავდათ. რ. თავდიშვილს ქუთაისელ ებრაელებში ეს რიტუალი დეტალურად აქვს აღწერილი: „სადედოფლო შიგ მიკვეში სამჯერ გაეველება, მიკვეს ზედამხედველი ქალი და თავისი ნამყოლიც ერთხმად მიაძახებენ: „ქაშერ, ქაშერ, ქაშერ“; ქალი შიგ წყალშივე თავზე ხელებს დაიფარებს და აკურთხევს. ამოვა წყლიდან, არ გაიმშრალებს, ისე ჩაიცვამს, მიაძახებენ: „ვაჟის დედა, ვაჟის დედა, ვაჟის დედა“. იგი გაეხვევა ისევ მანდილში და მორიდებულად წავა შინ, რომ არავინ შეამჩნიოს თუ სად იყო“. ებრაელთა წარმოდგენით მიკვეს რიტუალის საშუალებით პატარძალი წყლის გამანაყოფიერებელი ძალის თანაზიარი ხდებოდა და შვილიერების უნარს იძენდა. წყლის გამანაყოფიერებელი ძალა ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. რიტუალური განბანვა ებრაელი ქალისთვის აუცილებელი იყო და იგი ამას სხვა შემთხვევებშიც ასრულებდა. სიმბოლური განწმენდის გარეშე მას ეკრძალებოდა ქმარის სარეცლის გაზიარება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მხატვარ შალომ კობიაშვილის შემოქმედება წარმოადგენს ძვირფას ეთნოგრაფიულ წაროს, საქართველოს ებრაელთა მატერიალური თუ სულიერი კულტურის და, საერთოდ, ტრადიციული ყოფის სხვადასხვა ასპექტით შესწავლის თვალსაზრისით. მის სურათებში

ეთნოგრაფიული მომენტები თითქმის ზუსტადაა დაცული.

ფილმში მართებულია აღნიშნული, რომ 1970-იან წლებამდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაახლოებით 150 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, დღეს მათი რიცხვი 10 ათასსაც არ სცდება. საინტერესოა ის ფაქტი რომ, ებრაელთა მასობრივი ალიაში დიდი წვლილი შეიტანეს 18 ქართველი ებრაელის მიერ 1969 წლის 6 აგვისტოს გაეროში გაგზავნილმა წერილმა. აღნიშნულ წერილში ვფიქრობთ, ნათლად ჩანს საქართველოდან ებრაელთა ალიის გამომწვევი მიზეზები. ამიტომაც, ჩვენ, მკითხველს ვთავაზობთ მის ფრაგმენტს.

„ისრაელის წარმომადგენელს გაერო-ში,
პატივცემულ იოსებ ტეკოას,
ქ.ნიუ-იურკი, აშშ.

ჩვენ, საქართველოს 18 მორწმუნე ებრაელთა ოჯახი, მოგმართავთ თქვენ თხოვნით დაგვეხმაროთ ისრაელში გამგზავრების საქმეში. ყოველმა ჩვენგანმა, მიიღო რა მოწვევა ნათესავიდან ისრაელში, შეავსო სსრკ-ს სათანადო ორგანოების მიერ გამოგზავნილი ანკეტა. ყოველმა ჩვენგანმა მიიღო ზეპირი დაპირებანი, რომ მის გამგზავრებას არავინ არ შეუქმნიდა დაბრკოლებას. თითოეულმა ჩვენგანმა, ელოდა რა ყოველ დღე რომ მიიღებდა ნე-

ბართვას, გაყიდა ქონება და დაეთხოვა სამსახურიდან. მაგრამ თვეები, ზოგიერთისთვის კი - წლები, გაილია, გამგზავრების ნებართვა კი არ მიგვიღია ქვეყანაში დაშვებულია სინაგოგები, არავინ გვიშლის ვილოცოთ სახლშიც. ოღონდ, ჩვენი ლოცვები - ისრაელთანაა დაკავშირებული, რამეთუ გვიანდერძეს: თუ დაგივინყო შენ იერუსალიმო, გახმეს მარჯვენა ჩემი. რამეთუ ჩვენ, მორწმუნე ებრაელები, ვთვლით, რომ არ არსებობს ებრაელი რწმენის გარეშე, როგორც რწმენა არ არსებობს ტრადიციების გარეშე. რაში მდგომარეობს ჩვენი რწმენა და ტრადიციები? ხანგრძლივი დროის განმავლობაში რომის ლეგიონები გარს ერტყნენ იერუსალიმს. მაგრამ, ბლოკადის ცნობილი საშინელებების მიუხედავად - შიმშილი, უწყლობა, დაავადებები და მრავალი სხვა - ებრაელებმა არ უღალატეს რწმენას და არ დანებდნენ. თუმცა ადამიანის შესაძლებლობებსაც აქვს საზღვარი - ბოლოს და ბოლოს წმინდა ქალაქში შეიჭრენ ბარბაროსები. ასე, ათასწლეულების წინათ განადგურდა წმინდა ტაძარი, და მასთან ერთად - ებრაული სახელმწიფო. მაგრამ დარჩა ერი: თუმცა ებრაელებმა, ვინც იარაღის ხელში დაჭერა შესძლო, რომ არ დანებებულიყვნენ მტერს, ერთმანეთი დახოცეს, დარჩნენ სისხლისგან დაცლილი დაჭრილები, მოხუცები და ბავშვები. და ვინც წასვლა ვერ შესძლო, ადგილზე იქნა მოკლული. ხოლო ვინც კი შეძლო, უდაბნოში წავიდა, და

თუ გადარჩა - მიაღწია სხვა ქვეყანას, რათა ელოცა და დალოდებოდა... მაგრამ ერი არ მომკვდარა... ასრულდა წინასწარმეტყველება: ფერფლიდან აღსდგა ისრაელი, არ დავივიწყეთ ჩვენ იერუსალიმი და ჩვენი ხელები სჭირდება მას. ჩვენ 18 ვართ - მათ, ვინც ამ წერილს ხელი მოაწერა. მაგრამ ცდება ის, ვინც თვლის, რომ ჩვენ მხოლოდ 18 ვართ: ხელის მომწერთა რიცხვი გაცილებით მეტი შეიძლება ყოფილიყო. ამბობენ, რომ მსოფლიოში სულ 12 მილიონი ებრაელია. მაგრამ ცდება ის, ვინც ჩათვლის, რომ ჩვენ სულ 12 მილიონი ვართ. რამეთუ მათთან ერთად, ვინც ისრაელისთვის ლოცულობს, ჩვენ ასეულ მილიონი ვართ, ისინი, ვინც აწვალეს, ვინც აღარ არის - ჩვენთან ერთ მწყობრში არიან, დაუმორჩილებელნი და მუდამ ცოცხლები, ბრძოლისა და რწმენის ტრადიციების გადმომცემნი. აი რატომ გვსურს ჩვენ ისრაელში გამგზავრება ... გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ისტორიამ დააკისრა უდიდესი მისია - იფიქროს ადამიანებზე და დაეხმაროს მათ. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიამ იღონოს მასზე დამოკიდებული ყველა ზომები და უმოკლეს ვადაში მიაღწიოს სსრკ-ს მთავრობისგან ჩვენი გამგზავრების ნებართვის მიღებას. გაუგებარია, როგორ შეიძლება XX საუკუნის ბოლოს ადამიანებს აუკრძალო სადაც მათ სურთ იქ იცხოვრონ. უცნაურია, როგორ შეიძლება დავიწყება მოწოდებებისა

ერთა თვითგამორკვევის შესახებ, და რა თქმა უნდა, ყოველი ერის შემადგენელ ადამიანთა უფლებების შესახებ. ჩვენ დაველოდებით თვეები და წლები, თუ დაჭირდა - მთელი სიცოცხლე, მაგრამ რწმენას და იმედს არ ვუღალატებთ. გვწამს: ჩვენი ლოცვები ღმერთამდე მივიდა. ვიცით: ჩვენი მოწოდებები ადამიანებამდეც მივა. ღამეთუ ჩვენ ვითხოვთ მცირედს და გაგვიშვან წინაპართა მიწაზე..

ბერძენები:⁷ ბერძენთა მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობა საქართველოში თითქოს რამდენადმე აგრძელებს ბერძულ-ქართული ურთიერთობების იმ ტრადიციას, რომელიც თავისი წარმოშობით უხსოვარ დროებამდე ადის და ალბათ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა კონტაქტების ისტორიაში თავისი ხანგრძლივობითა და ინტენსიურობით სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას წარმოად-

⁷ ლორია მ. დოკუმენტურ ფილმში „მრავალენიკური საქართველო“ ასახული ისტორიული და ეთნოკულტურული ასპექტები (ბერძენები).- ჩვენი სულიერების ბალავარი, II (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი, 2010, გვ. 200-204. **იხ.:** გარაყანიძე ი. საქართველოში ბერძენთა გადმოსახლების ისტორია (XVIII-XX).- ბერძენები საქართველოში, თბილისი, 2000; გორდენიანი რ. ბერძულ ქართული ურთიერთობების ისტორიისათვის.- ბერძენები საქართველოში, თბილისი, 2000; დოკუმენტურ ფილმი „მრავალენიკური საქართველო“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობა, 2007; ფუტყარაძე თ. აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, ბათ., 2006. ფხაკაძე მ., ბერძენიშვილი ლ. ბერძენთა საქართველოში განსახლების თანამედროვე მდგომარეობა და ტენდენციები.- ბერძენები საქართველოში, თბილისი, 2000; Бромлей Ю. В. Этнос и Этнография, Москва, 1973; Бромлей Ю. В. Очерки теории этноса, Москва, 1983; Григориева, 1984 - Григориева Г. А. Этнологические процессы в Чувашской АССР.- Расы и Народы, ~ 14, Москва, 1984.

გენს. მაგრამ საქართველოს ბერძნული მოსახლეობის აბსოლუტურ უმეტესობას ვერ მივიჩნევთ ვერც საქართველოში მოსულ უძველეს ბერძენ კოლონისტთა უშუალო შთამომავლებად, ვერც ბიზანტიელ მისიონერთა და ოსტატთა მემკვიდრეებად. ისინი ჩვენში ძირითადად XIX-XX საუკუნეების განმავლობაში გადმოსახლდნენ იმ რეგიონებიდან, სადაც ე.წ. პონტოს ანუ პონტოელი ბერძნები მოსახლეობდნენ.

ფილმში მოთხრობილია ბერძნების ისტორია. მართებულადაა აღნიშნული, რომ საქართველოში მცხოვრები ბერძნების წინაპრები ანატოლიიდან ჩამოვიდნენ. თურქეთის ამ პროვინციიდან მათი საქართველოში ჩამოსახლება ერეკლე მეორეს დროს დაიწყო. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს. მეფე ერეკლემ ანატოლიიდან ბერძენი ოსტატები ახტალაში რკინის, ვერცხლის და ოქროს საბადოების დასამუშავებლად მოიწვია. 1829-1830 წლებში კი საქართველოში ბერძენთა პირველი დიდი ნაკადი ჩამოსახლეს. მათ საცხოვრებელი მიწები თრიალეთის მხარეში გამოუყვეს. ბერძნებმა იქ რამდენიმე სოფელი გააშენეს. მათ შორის ყველაზე დიდი იყო ბარმაქსიზი, რომლის ადგილზეც შემდეგ ქალაქი ნალკა დაარსდა.

ერთმორწმუნე ბერძნებს ქართველობა იოლად შეეგუა. საქართველოში ჩამოსული ბერძნები თურქეთის ტერიტორიაზე, შავი ზღვის პირას ცხოვრობდნენ და ამიტომ,

პონტოელ ბერძნებს ეძახდნენ. მათ კულტურასა და ენასაც თურქული გავლენა ეტყობოდა. ემიგრანტებმა საქართველოშიც ამ ბერძნულ-თურქული კულტურის ნარევი ჩამოიტანეს.

პონტოელ ბერძნებს თურქებმა ულტიმატუმი წაუყენეს. მათ ენა და სარწმუნოება უნდა დაეთმოთ. ბერძნებმა ქრისტეს რჯულს არ უღალატეს. სარწმუნოება იყო ის ყველაზე დიდი ფასეულობა რაც ბერძნებმა უცვლელად შეინარჩუნეს. მათ საქართველოში ჩამოსახლებისთანავე ტაძრების მშენებლობა დაიწყეს.

წალკაში, სადაც ბერძნები ყველაზე კომპაქტურად ცხოვრობდნენ, მათი დიდი ნაწილი ქართულ ენას სრულყოფილად ვერ ფლობს, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომელთაც საბჭოთა პერიოდში ძირითადად ქონდათ რუსული განათლება მიღებული. ეს გასაკვირი არაა, რამეთუ რუსული ენის გაბატონება დაკავშირებული იყო საბჭოთა პერიოდში ბილინგვიზმის, მეორე მშობლიურ ენად რუსულის აღიარების პროპაგანდისა და ზეეროვნული ერთობის ჩამოყალიბების მცდელობასთან. რაც წითელ ზოლად გასდევს იმდროინდელ გამოცემებს: ენობრივი ერთიანობა დამახასიათებელია ყველა ეთნოსისათვის და ყველა ეთნოსი თავისი ჩამოყალიბების პროცესში ჩვეულებრივ იყენებს ერთ ენას, მაგრამ სრულიად არაა აუცილებელი, რომ თავისი შემდგომი არსებობის

მთელ მანძილზე ის სარგებლობდეს მხოლოდ ამ ენით. გ. გრიგორიევა პირდაპირ აღნიშნავდა, რომ: რუსული ენის შესწავლა და მისი ცოდნის განმტკიცება არის თითოეული ხალხის ობიექტური მოთხოვნა... ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის ნაციონალურ-რუსული ორენოვნების გავრცელების ფართო პროცესი პასუხობს სსრკ-ს ყველა ხალხის ინტერესებს. ნიშანდობლივია ისიც რომ თრიალეთის თურქულენოვანი ბერძნების სოფლებში თითქმის არავინ იცის ბერძნული თუმცა მათში ბევრია თურქული ენის მცოდნე.⁸ თუმცა საინტერესო მომენტია ის, რომ ისინი ბერძნულს მიიჩნევენ მშობლიურ ენად ე.ი. ობიექტური ენობრივი სიტუაცია და ეთნიკური კუთვნილება არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს არის ეთნიკური თვითშეგნების ემოციური ელემენტი ნოსტალგია რომელიც პერსპექტივაში ორიენტირებულია ბერძნული ენის აღორძინებაზე. ფილმში ამ ასპექტზეცაა სწორად ყურადღება გამახვილებული.

ბერძნები საქვეყნოდ ცნობილი ქვის მთლელები არიან. სართველოშიც მათ სახელი სწორედ შეუდარებელი ოსტატობით გაითქვეს. თბილისსა და სხვა ქალაქებში პონ-

⁸ თურქულენოვან ბერძნებს ურუმებს უწოდებენ. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმებიან თურქების მიერ დაპყრობილი პროვინციების მოსახლეობა ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად .

ტოელმა ბერძნებმა ბევრი შენობა ააშენეს. ამ შენობების დიდი ნაწილი თბილისის ძველ უბნებშია განთავსებული.

ფილმში ასევე სწორადაა გაანალიზებული ის, რომ დღეს საქართველოში ბერძნების საქმიანობას მთლიანად ქართული კულტურა და გარემო განსაზღვრავს. მაგალითად, კახეთში მცხოვრები ბერძნების უმრავლესობა ისე როგორც ამ კუთხეში მცხოვრები ქართველობა მევენახეობითაა დაკავებული. მათი კულინარიაც თითქმის ქართულია, თუმცა ტრადიციულ ოჯახებში ბერძნულ კერძებს დღესაც ამზადებენ. მაგალითად **ცაძიკი** (მანვნის სანებელი), ბერძნების სადღესასწაულო რიტუალები თუ ყოფითი ნესჩვეულებანი უმეტესწილად ქართული გავლენას განიცდის. მათ განსაკუთრებით შემორჩათ ძველი ტრადიციები, ბერძნული ხასიათი და ძლიერი ეთნიკური თვითშეგნება, ყოველივე ამას ბერძნებს ბავშვობიდან უნერგავენ.

საქართველოში საზღვრების გახსნამ ბერძენთა მასობრივ გადასახლებას შუნყო ხელი საბერძნეთში. ამის მიზეზი ძირითადად ეკონომიკური ფაქტორი იყო. თუ 1979 წელს საქართველოში დაახლოებით 120 ათასი პონტოელი ბერძენი ცხოვრობდა, დღეს მათი რაოდენობა 10 ათასს არ აღემატება.

ქართუბი⁹. ფილმში დახასიათებულია ქურთების ეთნოისტორია და საქართველოში მათი დასახლება. აღნიშნულია, რომ ქურთისტანიდან ქურთების ყველაზე დიდი ნაკადი სხვა სახელმწიფოებში პირველი მსოფლიო ომის შემდგომ დაიძრა, როცა მათი სამშობლო ოთხმა სახელმწიფომ — თურქეთმა, ირანმა, ერაყმა და სირიამ დაინაწილეს და თავად ისინი ჩაგრული უმცირესობის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუმცა, არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც ქურთები საქართველოში გაცილებით ადრე გამოჩნდნენ. საქართველოში ჩამოსული ქურთების დიდი ნაწილი თურქეთიდან წამოვიდა. მუსულმანურ სამყაროში მათ იეზიდური რელიგიის გამო დევნიდნენ. რელიგიური მრწამსის გამო საქართველოში პრობლემები არ შექმნიათ, თუმცა ენის არცოდნამ მათი ადაპტაცია მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა. საინტერესოა დახასიათებული ქურთების რელიგია. უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოსა და სომხეთში მცხოვრები ქურ-

⁹ **დანვრ. იხ.:** დოკუმენტური ფილმები “მრავალეთნიკური საქართველო” (აზერბაიჯანელები) DVD, თბილისი, 2007; ეთნოსები საქართველოში, თბილისი, 2008; რელიგიები საქართველოში, თბ., 2008; საქართველოს იეზიდები. [http://sarhad.ge/main.php?mode=12 &cat =culture&sub=17&id=43&lang=ge](http://sarhad.ge/main.php?mode=12&cat=culture&sub=17&id=43&lang=ge); იეზიდები საქართველოში, გაზეთი ლიბერალი (20.02.2013).- <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/114034/>.

თების აბსოლუტური უმრავლესობა ეზიდური რელიგიის მიმდევარია. 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი ქურთების დეპორტაციის შემდეგ მათი რაოდენობა საქართველოში უმნიშვნელოა. ეზიდები ზემო მესოპოტამიის უძველესი მკვიდრები არიან და მრავალმილიონიანი ქურთული მოსახლეობის, რომელთა ძირითადი ნაწილი მუსლიმია, შემადგენელი ნაწილია. ამჟამად ქურთების მხოლოდ მცირე ნაწილია ეზიდიზმის მიმდევარი. მათი რაოდენობა მთელ მსოფლიოში ერთ მილიონამდეა. პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მიზეზების გამო ეზიდური რელიგია თავის გარემოში ჩაიკეტა, რასაც ხელი არ შეუშლია რელიგიური პოსტულატები თაობიდან თაობას გადასცემოდა და მუდმივი დევნისათვის გაეძლო, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ეზიდიზმის მიმდევრებს თავისი რელიგია დაეცვათ. ეზიდები მონოთეისტები – ერთღმერთიანობის მიმდევრები და თაყვანს სცემენ მთავარანგელოზ მალაქ-ტაუსს, რომელიც ფარშევანგის სახით ყავთ წარმოდგენილი. ფილმში კომპეტენტურადაა მოცემული ის ფაქტი, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ქურთების აბსოლუტური უმრავლესობა აღმსარებლობით იეზიდია და თავის თავს ქურტებს იშვიათად უწოდებენ.

ფილმში აღნიშნულია, რომ ლტოლვილი ქურთების უმეტესობამ თბილისში მოიყარა თავი. თბილისში მაცხოვ-

რებელი პირველი ქურთი ჯერ კიდევ 1876 წელს დაფიქსირდა. მათი რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. ისინი ათწლეულების მანძილზე მძიმე შრომას არ თაკილობდნენ, მათი უმეტესობა ჯერ კურტნის მუშებად მუშაობდნენ, მოგვიანებით კი ქურთი მეეზოვის სახე თბილისის ერთგვარ სიმბოლოდაც კი იქცა.

ფილმში განსაკუთრებით საინტერესოაა გადმოცემული ეზიდების ტრადიციები. კერძოდ განხილულია ეზიდური საზოგადოება რომელიც კასტურ-თეოკრატიული დანაწევრების პრინციპზეა დაფუძნებული. ისინი იყოფიან სამ შტოდ («კასტად»): შეიხები (შეხ)¹⁰, ფირები (ფირ)¹¹ და მურიდები (მრიდ)¹². შეიხები და ფირები სასულიერო ფენას განეკუთვნებიან, ხოლო მურიდების ძირითადი მასა – ერისკაცებს. ერთი კასტიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელია. მურიდებისათვის, რომლებიც ღრმა რელიგიურ ცხოვრებას ეწევიან, არის სხვადასხვა რელიგიური წოდება: ხლმატქარ, ყავლბეჟ, ქორჩაკ, ფაყირ, ყავალ და ა.შ. ეზიდური რელიგიის თანახმად, ყოველი

¹⁰ შეიხი (არაბულად - მოხუცი, უხუცესი) - სიტყვა ფირის სინონიმია, მაგრამ ეზიდებში მეთაურის, ხელმძღვანელის ფუნქცია შეიძინა.

¹¹ ფირი (ქურთულად, ირანულად - მოხუცი, უხუცესი) – ეზიდურ თეოლოგიაში ფართო მნიშვნელობა შეიძინა – სული, ოსტატი, წმინდანი, მფარველი. ყოველდღიურ ყოფაში – მღვდელმსახური.

¹² მურიდი (არაბულად - მსურველი; გადატანითი მნიშვნელობით მოსწავლე) ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში არის ადამიანი, რომელსაც სურს თავისი ცხოვრება რწმენას მიუძღვნას, დაეუფლოს მისტიკური სწავლების საფუძვლებს.

ეზიდი თავისი შეიხისა და ფირის მურიდია, ანუ მათი მიმდევარია. ეს, აგრეთვე, შეიხებსა და ფირებზეც ვრცელდება, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინიც თავიანთი შეიხისა და ფირის მურიდები არიან. უბრალო მურიდებისაგან განსხვავებით, მათ კიდევ თავიანთი მურიდები ჰყავთ. რელიგიის თანახმად, ამ სამი შტოს წარმომადგენელთა შორის ქორწინება იკრძალება, ვინაიდან მათ მხოლოდ სულიერი კავშირი აქვთ ერთმანეთთან. მათ შორის ქორწინება დისა და ძმის ერთმანეთზე ქორწინების ტოლფასია. იმ შემთხვევაში თუკი ფირების ან შეიხების გვარი შეწყდებოდა, მღვდელმსახურის გარეშე რომ არ დარჩენილიყვნენ, მურიდები შეიხებისა და ფირების ახალ გვარს ირჩევდნენ. მურიდების განაწილება ძირითადად ტომებისა და გვარების მიხედვით ხდებოდა. ამიტომ ეზიდების ტომების მიხედვით განაწილება არ ემთხვევა მურიდების განაწილებას შეიხებისა და ფირების გვარების მიხედვით: განსხვავებულ ტომებში შეიძლება იყოს ერთი და იგივე შეიხებისა და ფირების გვარები, ერთი და იგივე ტომის ეზიდები კი შეიძლება სხვადასხვა შეიხისა და ფირის გვარების მურიდები იყვნენ. სამი კასტის გარდა, არსებობს კიდევ სუბკასტები. შეიხები სამ შტოდ იყოფიან: ადანი, ყათანი და შამსანი, რომლებიც თავის მხრივ მრავალ გვარად იყოფიან. ქორწინება ამ სამი შტოს წარმომადგენელთა შორისაც იკრძალება. ძალიან საინტე-

რესოდაა განხილული დღესასწაული «კლოჩი», რომელიც აღმოსავლური კალენდრით მარტის პირველ ოთხშაბათს ეწყობა. ყოველ ოჯახში აცხობენ კულიჩს, რომელშიც მძივს ან მონეტას დებენ. მეორე დღეს, ადრე დილით, ოჯახის წევრები თავს იყრიან კულიჩის გარშემო, ოჯახის უფროსი ახსენებს ღმერთს და ჭრის ნამცხვარს. ჯერ შუაში დაუსვამენ კულიჩს დანას — ამას «ხა-ტა ჯოტი», ანუ «გუთნის კვალი» ეწოდება. შემდეგ ერთ ნახევარს ნაწილებად ჭრიან, იგი წმინდანებისა და ანგელოზებისთვისაა განკუთვნილი. ესენი არიან: 1) აფტ მერე დივანე — შვიდი ანგელოზი, 2) ხოდანე მალე — ოჯახის მფარველი, 3) მამე შვან — წვრილფეხა რქოსანი საქონლის მფარველი, 4) გავანე ზარზან — მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მფარველი, 5) ხათუნა ფარხა — ბავშვებისა და ქალების მფარველი, 6) შამსი — ნათელმოსილი ანგელოზი. მეორე ნახევარს ჭრიან მამრობითი სქესის ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად და დიასახლისისთვის. ვისაც მძივი ან მონეტა ერგება, ის ღმერთისგან კურთხეული იქნება. ამ დღესასწაულს მხოლოდ საქართველოს, სომხეთისა და რუსეთის ეზიდები ზეიმობენ. საინტერესოდაა განხილული ქორწილი. ეზიდს სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელზე ქორწინება ეკრძალება. ამას თავისი მიზეზი აქვს – ეზიდიზმი გავრცელებადი რელიგია არ არის. ეზიდი ვერც არაქურთი გახ-

დება და ვერც სხვა რწმენის მქონე ადამიანი. ამ აღმსარებლობის მიმდევრად ეზიდი მშობლების შვილები იბადებიან. დღევანდელ დღეს საქართველოში მცხოვრებ ქურთ ეზიდებს შერეული ქორწინებების თავიდან აცილება სულ უფრო და უფრო უჭირთ. რეალობის გათვალისწინებამ ქურთებს ბევრ ტრადიციულ წესზე უარი ათქმევინა, მაგრამ ერთი წესი, რომლისთვისაც ეზიდებს საუკუნეების მანძილზე არ გადაუხვევიათ და დღემდე მკაცრად იცავენ, კასტებს შორის ქორწინების აკრძალვაა. თავად ეზიდური ქორწილი შემდეგნაირად ტარდება. ქორწილი, როგორც წესი სასიძოს სახლში იმართება. დილიდანვე იკრიბებიან ყველა ახლო ნათესავი, მეზობლები და ოჯახის ახლობლები. შუადღისას სიძის ოჯახის უახლოესი ნათესავები მიემართებიან საპატარძლოსთან მუსიკის თანხლებით, სადაც სტუმრებისათვის პირდაპირ ქუჩაში გაშლილია სუფრა. მამაკაცები განწყობილ სუფრაზე ადღეგრძელებენ მომავალ დღესასწაულს. ქალები კი ცეკვით დიდ მრგვალ ლანგარზე მართმევენ საპატარძლოს საჩუქრებს (მათი რიგხვი ხუთზე ნაკლები არ უნდა იყოს). ლანგრები შეფუთულია გამჭვირვალე ფოლგაში, სხვადასხვა ფერის ბაბთებით. ლანგრები ქორწილისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. საჩუქრებს შორისაა შამპანიური, ძვირფასი ღვინოები, სხვადასხვა სახეობის ხილი, ტკბილეული, ტკბილღვეზელა და რაც ყველაზე

მთავარია საქორწილო კაბა. საპატარძლოს ნათესავები ვალდებულნი არიან მიიღონ ეს საჩუქრები. საპატარძლოს სახლში შესვლამდე, სასიძოს და საპატარძლოს სტუმრები ერთად ასრულებენ ტრადიციულ, ეზიდების საყვარელ ცეკვას „გოვანდ“-ს. ცეკვის შემდეგ ყველა სტუმარს პატარძლისთვის მორთმეულ საჩუქრებს უჩვენებენ. ფილმში მოცემულია ერთი საინტერესო რიტუალი რომელიც ვაშლს უკავშირდება. ტრადიციულად ეს რიტუალი შემდეგნაირად ტარდება. მეფე-პატარძალს დაფის (ორმხრივი დოლი) და ზურნის მუსიკის თანხლებით მიაცილებენ სიძის სახლში. ხალდაქორწინებულებს ეგებებათ დედამთილი ტკბილეულით სავსე ლანგრით ხელში და თავზე აყრის მეფე-პატარძალს. ამის მერე სასიძო უნდა ავიდეს აივანზე (სახლის მეორე სართული ან ვერანდა) და იქიდან ესროლოს პატარძალს თავში ვაშლი. ფილმში აღნიშნულია, რომ ეზიდების რწმენით თუ ქალმა ეს მოითმინა მაშინ ის მომთმენი და გამძლე იქნებაო. შემდეგ ტრადიციულად ორივეს თავზე არხევენ „ბედნიერების ხეს“, რომელიც მორთულია ხილით, ტკბილეულით, ფულით. ხე უნდა მორთონ ახალგაზრდა გოგონებმა და ვაჟებმა, ძირითადად დაუოჯახებლებმა. ეკრძალებათ ხის მორთვა და მიახლოებაც კი ქვრივებს და განქორწინებულებს.

ფილმში აღნიშნულია ეზიდების მიგრაციაც. 90-იან წლებში ბევრმა ქურთმა ეზიდმა საქართველო დატოვა.

ისინი უკეთესი ცხოვრების საძიებლად ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაიფანტნენ.

ქისტები:¹³ ქისტები კავკასიის ძირძველი ხალხია. ისინი ვეინახურ ტომებს განეკუთვნებიან. “ვეი ნახ” ჩვენ ხალხს ნიშნავს. ამ სიტყვებით ჩეჩნები, ინგუშები და ქისტები საკუთარ თავს სხვა მთიელი კავკასიელებისგან გამოყოფენ.

ფილმში დეტალურადაა ცნობები ქართველური და ვეინახური ტომების მჭიდრო ურთიერთობის შესახებ, რომელიც ანტიკური ხანიდან იწყება. ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე მე-4—მე-3 საუკუნეების მიჯნაზე იბერიის მეფე ფარნავაზმა, მთიელთა თანადგომის განსამტკიცებლად, მეზობელი ტომის ქალი ითხოვა. საუკუნეების მანძილზე ვეინახური ტომები ქართველი მეფეების მხარდამხარ იბრძოდნენ. განსაკუთრებული სიყვარული ქისტებს თამარ მეფისადმი ჰქონდათ. თამარის სახელს არქმევდნენ ხიდებსა და სხვა ნაგებობებს, ქალიშვილებს – მართებულადაა აღნიშნული ფილმში.

13 ლორია მ. დოკუმენტური ფილმის ანთროპოლოგიური ინტერპრეტაცია (ქისტები).-ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, III, ბათუმი, 2011:81–85. **ასევე, დაწვრ. იხ.:** დოკუმენტური ფილმები “მრავალეთნიკური საქართველო” (ქისტები) DVD, თბილისი, 2007; ეთნოსები საქართველოში, თბილისი, 2008; რელიგიები საქართველოში, თბ., 2008;

ფილმში განხილულია დასახლებასთან დაკავშირებული ასპექტებიც. ვეინახების მასობრივი ჩამოსახლება უკანასკნელად მე-19 საუკუნის 20-იან წლებში მოხდა. ამჟამად საქართველოში 8 ათასამდე ქისტი ცხოვრობს. მათი დაახლოებით 95% ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში სახლობს. ისინი, ძირითადად, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ. აქ ცხვარი, თხა და ძროხა თითქმის ყველა ოჯახს ყავს, ჯიშიანი ცხენი პრესტიჟად ითვლება.

საუკუნეების წინათ ვეინახების დიდი ნაწილი ქრისტიანი იყო. მეზობელი საქართველოს დასუსტებასა და მაჰმადიანური ქვეყნების გაძლიერებასთან ერთად, ქრისტიანობას თანდათან ისლამი ჩაენაცვლა. შესაბამისად საინტერესოაა მოცემული ქისტების რელიგიური ცხოვრების წესი.

ფილმში საინტერესოდ განხილულია ტრადიციული კერძი – ჯიშიკ გალანაშია (გაბრტყელებულ ცომს ზოლებად ჭრიან და ხარშავენ შემდეგ. მას მოხარშული ცხვრის ან ციკნის ხორცთან და მანონში გაზავებულ ნიორთან ერთად მიირთმევენ). ეროვნულ სამზარეულოსთან ერთად პოპულარულია იმერული ხაჭაპური, კახური ჩურჩხელა, განსაკუთრებით კი — მოხეური ხინკალი.

ფილმში აღნიშნულია რომ ქისტებში ხინკალი ერთ-ერთი რელიგიური რიტუალისთვისაც მზადდება. კერძოდ გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებლად, ყოველ ხუთშაბათს

ბათს ოჯახებში საგანგებო ლოცვა აღევლინება. შემდეგ ოჯახის წევრები საგანგებოდ მომზადებულ კერძსა და ხილის წვენს მეზობლებს ურიგებენ. ამ რიტუალს გაღება ეწოდება. ამ დროს ხაჭაპურს ან ხინკალს გაამზადებენ და გასცემენ (შეიძლება დაემატოს ტკბილეულიც). საკუთარ ეროვნულ ტრადიციებთან ერთად ქისტებში მრავალი ქართული წეს-ჩვეულება გვხვდება.

ფილმში მოცემულია ქისტების განათლება, გვარები, სტუმარ-მასმინძლობა, ჩვეულებითი სამართალი (ადა-თობრივი სასამართლი, უფროს-უმცროსობის ტრადიციები). ქისტების ეროვნული ნიშნებია: ენა, სარწმუნოება (ისლამი), მატერიალური კულტურის ელემენტები ძირითადად შენარჩუნებული აქვთ კომპაქტურ დასახლებებში - პანკისის ხეობის სოფლებში. ქისტები მშობლიურ ენასთან ერთად ფლობენ ქართულ ენას. პანკისის ხეობის ქისტური მოსახლეობის ყოფაში ძლიერ იგრძნობა ქართული მატერიალური კულტურის გავლენა. ისინი განათლებას ქართულ ენაზე იღებენ. ზოგ ოჯახში ლაპარაკობენ ქისტური დიალექტისა და ქართულის შერევით მიღებულ ჟარგონზე.

ამრიგად, ფილმთან დაკავშირებით პირველ რიგში ავლნიშნავთ: ყოფითი პრობლემების მიუხედავად მიგრაციის ხარისხი ქისტებში საკმაოდ დაბალია. სასურველია ფილმში ყურადღება გამახვილებულიყო სხვა მნიშვნელო-

ვან ტრადიციებზე. კერძოდ –პანკისის ყველა სოფელში არის საოჯახო სახელოსნო, სადაც ქისტები მატყლისაგან ამზადებენ თექას – წყალგაუმტარ და უცვეთელ ქსოვილს. მწყემსებისთვის განკუთვნილი თბილი ტანსაცმელის გარდა ოსტატები ამზადებენ მრავალ ფერადოვან აქსესუარსაც – ჩანთებს, ხალითებს, ქუდეებს, ფარდაგებს და სხვა. ასევე, სხვა მნიშვნელოვანი კერძებია – სისკალ–ნეხჩი, ქისტური ხაჭაპური (ჭააბილგიმ): მზადდება რამდენიმე სახეობის.

უდიეპი:¹⁴ 2005 წელს საქართველო ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციას შეუერთდა. აღნიშნული კონვენციის ცხოვრებაში რეალურად გასატარებლად კი საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნული უმცირესობების საბჭოს კომისიებმა რეკომენდაციები მოამზადეს. ამ პროცესში საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების, სახალხო დამცველისა და უმცირესობათა საკითხე-

¹⁴ ეროვნული უმცირესობების დასაცავად რეკომენდაციები მზადაა (ნაწილი პირველი).–<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6632&lang=geo>; ნეშუმაშვილი მ. უდიური ზღაპრები, თბილისი, 2009; ნეშუმაშვილი მ., ნეშუმაშვილი ე., უდიური თამაშობები, თბილისი, 2009; ნეშუმაშვილი მ., უდიური დამწერლობა, თბილისი, 2009 ; ნეშუმაშვილი მ., უდიები, თბილისი, 2010; www.udi.ge; დოკუმენტური ფილმები “მრავალეთნიკური საქართველო”, DVD, თბილისი, 2007.

ბის ევროპული ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. დოკუმენტში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ პრობლემებს ნაკლებად უჩივის ასოციაცია „უდის“ პრეზიდენტი კახეთის რეგიონში მამული ნიშუმაშვილი. მისი თქმით, კახეთის რეგიონი ტოლერანტობისა და ინტეგრაციის კლასიკური მაგალითია. „უდი“ გაქროპის პირას არსებული მოსახლეობა გახლავთ. მათ შემორჩენილი აქვთ უძველესი, უდიური ენა. ისინი ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბერში ცხოვრობენ. სულ, ამ ეტაპისთვის, 170 კომლი ანუ 500-მდე ადამიანია შემორჩენილი. „ინტეგრაცია და ტოლერანტობა თუ ვინმეს სჭირდება, პირველ რიგში ეს ჩვენს სოფელში და ამ ხალხში უნდა მოიკითხოს. შეიძლება ითქვას, რომ უდიების დედების 90% ქართველია. ინტეგრაციის პრობლემა ჩვენთან საერთოდ არ არსებობს, ტოლერანტობა უმაღლეს დონეზეა. პირიქით, არსებობს უდიური ენის და კულტურული მემკვიდრეობის დაკარგვის საშიშროება. ამას აუცილებლად ზრუნვა სჭირდება,“ - ამბობს მამული ნიშუმაშვილი.

ფილმში მოთხრობილია უდიების ისტორია. მართებულადაა აღნიშნული, რომ უდიები კავკასიელი ალბანელების შთამომავლები არიან. ოდესღაც მათ თავიანთი სახელმწიფო ტერიტორია, ენა და დამწერლობა ჰქონდათ. უდიების წინაპრებს განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობა ერთმორწმუნე ქართველებთან ჰქონდათ. მათ შესა-

ხებ ცნობები “ქართლის ცხოვრებაშია” დაცული. ამ წყაროს მიხედვით, ძველი ალბანელები და ქართველები ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ. მათ ქართველების მსგავსად ეცვათ და წეს-ჩვეულებებიც ერთნაირი ჰქონდათ. მათი ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო მეექვსე საუკუნის შუახანებში გახდა. იმ პერიოდში სომხეთი მონოფიზიტური გახდა, ქართლმა და ალბანეთმა კი დიოფიზიტობა აღიარა. თუმცა, ასე დიდხანს არ გაგრძელდა. მერვე საუკუნის დასაწყისში, ალბანელებმა რჯული შეიცვალეს და მონოფიზიტობაზე გადავიდნენ. ამ პერიოდიდან ალბანეთის სახელმწიფო საგრძნობლად დასუსტდა და სხვა ქვეყნების გავლენის ქვეშ მოექცა. თანდათან მათი მწერლობის ნიმუშებიც დაიკარგა.

მეათე საუკუნიდან ალბანეთის სახელმწიფოს ტერიტორიებზე ახალი სამთავროები აღმოცენდა. მათი შთამომავალი მცირერიცხოვანი უდიები კი თავიანთ ყოფილ მინაზე ეთნიკურ უმცირესობად იქცნენ. ყველაზე კომპაქტურად ისინი აზერბაიჯანის სოფელ ვართაშენსა და ნიჯში სახლობდნენ. მაგრამ ისევე, როგორც წარსულში, ახლაც — მუსლიმურ სამყაროში მცხოვრები უდიები აზერბაიჯანელებზე მეტად ქართველებს ჰგავდნენ მართებულად აღნიშნულია ფილმში. მართლმადიდებელ უდ კაცებს ქართულის მსგავსი ჩოხა-ახალუხი, ხოლო ქალებს — ჩიხტი-კოპიანი კაბები ეცვათ. სალოცავად ისინი აზერბაიჯა-

ნის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ტაძრებში, ყველაზე ხშირად კი, გიშში დადიოდნენ. ამ მიზეზით უდიებს აზერბაიჯანში ქართველებთან აიგივებდნენ. სწორედ საერთო რწმენის გამო, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ვართაშენელი უდიების დიდმა ნაწილმა საქართველოში გადმოსახლება მოისურვა.

1921 წელს, უდიებმა ქართველ ბოლშევიკთა რევოლუციურ კომიტეტს თხოვნით მიმართეს, მათთვის საქართველოში გადმოსახლების უფლება მიეცათ. საკითხი 1922 წლის ოქტომბერში გადაწყდა და საქართველოში უდიების 112 ოჯახი ჩამოვიდა. გადმოსახლების პროცესს ვართაშენელი უდი ზინობ სილიკაშვილი ხელმძღვანელობდა. სწორედ მან ჩაიყვანა თანამემამულეები კახეთში. ახალ დასახლებას უდიებმა თავიანთი წინამძღოლის — ზინობის პატივსაცემად ზინობიანი დაარქვეს. ზინობიანი დღესაც უდიების ყველაზე კომპაქტური დასახლებაა. ცხოვრების წესით, რწმენისა და გვარების მიხედვით, ქართველებისგან უდიების გარჩევა სულ უფრო რთული ხდება.

ფილმში დაწვრილებითაა საუბარი უდიურ ენაზეც. დღეს, სოფელ ნიზობიანში მოსწავლეები ქართულ ენასთან ერთად მშობლიურ ენას — უდიურს სწავლობენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე პრობლემატურია უდიური ენის შესწავლის და გადარჩენის საკითხი. ბოლო წლებში მოხერხდა ინტეგრირებული ქართულ-უდიური, ლათინ-

ნურ-უდიური, რუსულ-უდიური, აზერბეიჯანურ უდიური შრიფტების (ფონტების) შექმნა საოფისე, ტიპოგრაფიული, კომპიუტერული და საინტერნეტო სარგებლობისათვის. რითაც შესაძლებელი გახდა უდიური სახელმძღვანელოების, ლიტერატურის, ალბომების, ვებ გვერდების შექმნა. სკოლებში უდიური ენის სწავლების დაწყება. ეს ერთგვარი პროგრესის მომასწავებელია ამ მიმართულებით. აღსანიშნავია ისიც, რომ უდიების იტორიასა და ეთნიკურ კულტურაზე ქართულ ენაზე 2009–2010 წელს გამოიცა საინტერესო წიგნები –უდიები, უდიური ზღაპრები, უდიური თამაშობები, უდიური დამწერლობა.

ფილმში ასევე სწორადაა გაანალიზებული ის, რომ დღეს უდიები კახურ ყოფას იოლად შეეთვისნენ. ხშირად მათი ქართველებისგან განსხვავება შეუძლებელიც კია. თუმცა, ქართველებთან უამრავი ისტორიული მსგავსების მიუხედავად, უდიებს ბევრი საკუთარი ტრადიციაც აქვთ და მათ დღემდე ერთგულად იცავენ .

ამრიგად, დასკვნის სახით მოკლედ ავლნიშნავთ, რომ ამჟამად, კომპაქტური დასახლების სახით მოაღწია უდიების მხოლოდ სამმა სოფელმა: ვართაშენი (ოგუზ), ნეჟ (ნიჯ) - აზერბეიჯანში და ოქტომბერი (ზინობიანი) საქართველოში. გაფანტული სახით, ცალკეულ ჯგუფებად უდიები ცხოვრობენ აგრეთვე ქ. თბილისში; ქ. რუსთავში; ქ. ყვარელში; ქ. ბაქოში; ქ. მოსკოვში; ქ. ეკატერინბურგში და

სხვა ქალაქებსა და სოფლებში. მათი დაქსაქსვის და გაფანტულად ცხოვრების ძირითადი მიზეზი იყო ერთის მხრივ სოციალური სიძნელეები და მეორეს მხრივ, 1989 წლის სომხურ-აზერბეიჯანული ეთნოკონფლიქტი. მსოფლიოში უდიდების რაოდენობა დღეს 10.000-მდეა. მათგან უდიდურ ენას ფლობს და ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად იყენებს დაახლოებით 5.500-მდე უდი. გლობალიზაციის პროცესები და აქტიური ასიმილაცია კატასტოფულად ამცირებს მათ რაოდენობას. აუცილებლად ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ქართველთა თანაარსებობა უდიდებთან კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქართულ ტოლერანტულ ბუნებას და მართშეგნების მაღალ ხარისხს.

უკრაინელები:¹⁵ ფილმში საინტერესოდაა გადმოცემული ქართულ-უკრაინული ურთიერთობები, დასახლების ისტორია.

ქართულ-უკრაინული ურთიერთობები უკრაინელთა საქართველოში მასობრივად გამოჩენამდე გაცილებით ად-

¹⁵ ლორია მ. დოკუმენტურ ფილმში „მრავალეთნიკური საქართველო“ ასახული ისტორიული და ეთნოკულტურული ასპექტები (უკრაინელები).- ჩვენი სულიერების ბალავარი, III (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი, 2011:233-237. ასევე, დანვრ. იხ.: აჭარის ა. რ. მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის არქივი: ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩანწერის წიგნი: 1925-1968 წლები; ბათუმის მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილება: ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩანწერის წიგნი: 1968-2009 წლები; დოკუმენტური ფილმები „მრავალეთნიკური საქართველო“ (უკრაინელები) DVD, თბილისი, 2007; საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, თბილისი, 2003, ტ.1.; ეთნოსები საქართველოში, თბილისი, 2008.

რე დაიწყო. ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში მეფე დემეტრე პირველის ქალიშვილი კიევის თავადს იზიასლავს გაჰყვა ცოლად. ქართულ-უკრაინული ურთიერთობის შესახებ იტალიელი მოგზაური პეტრო დელაველე რომის პაპს ურბან მერვეს წერს¹⁶. უკრაინელები მცირე რაოდენობით საქართველოს ტერიტორიაზე პირველად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდნენ, როდესაც რუსეთის იმპერიის დედოფალმა ეკატერინე II-მ დაუმორჩილებლობის გამო დაშალა ე.წ. «ზაპოროჟსკაია სეჩ», რის შედეგადაც ბევრი კაზაკი იძულებული გახდა იმპერიის სამხრეთი ტერიტორიებისაკენ გაქცეულიყო. ამის შედეგად ზოგიერთი მათგანი საქართველოშიც აღმოჩნდა. უკრაინელების ოჯახები საქართველოში რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობის დროსაცაა. იმ დროს რუსეთში სავალდებულო სამხედრო სამსახური 25 წელი გრძელდებოდა. მათ, ვინც საცხოვრებლად ციმბირში ან საქართველოში წავიდოდა, მთავრობა სამხედრო სამსახურისგან ათავისუფლებდა. იმ პერიოდში საქართველოში თავისი ნებით ბევრი უკრაინელი წამოვიდა. სამხედრო მოსამსახურეების გარდა პირველ უკრაინელთა შორის იყვნენ, აგრეთვე, ადმინისტრაციულ დაწესებულებებში მომუშავე ოფიცრები. მათი ნაწილი სამუდამოდ დასახლდა საქართველოში.

16 წერილი 1627 წლით არის დათარიღებული.

XIX საუკუნეში უკრაინელთა გადმოსახლების ერთი მიზეზი პოლიტიკური ხასიათის იყო: მათი უმეტესობა დევნასა და რეპრესიებს გაუბრძოდა. მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური ფაქტორიც, რომელიც უმინანყო გლეხებს თავისუფალი მიწების ძიებისაკენ უბიძგებდა. რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხებმა თავისუფალი მიწების ძიება დაიწყეს.

ფილმში დეტალურადაა განხილული საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უკრაინელთა დასახლების ძირითადი ასპექტები. მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთი და ბორჯომის ხეობა დაცარიელებული იყო. მეომარ ქვეყნებს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით, სამცხე რუსეთს გადაეცა. რუსეთის მთავრობამ ამ ტერიტორიაზე ქართველების დასახლება არ მოინდომა. გენერალმა ვორონცოვმა გეგმა შეიმუშავა. 1840-იან წლებში მან უკრაინის პოლტავის გუბერნიიდან 180 უკრაინელი კაზაკის ოჯახს საქართველოში გადასახლება უბრძანა. საქართველოში უკრაინელები პირველად კახეთის რეგიონში დასახლდნენ, თუმცა იქაურ ცხელ კლიმატს ვერ გაუძლეს და საბოლოოდ ბორჯომის მახლობლად, ნალვერში დაფუძნდნენ. ბორჯომი და ბაკურიანი ჯერ კიდევ უღრანი ტყე იყო, როდესაც იქ პირველი უკრაინელი დასახლდა. ბაკურიანში მათ ააგეს ხის სახლები, სადაც დღესაც კი

გხვდება ფანჯრებზე დატანებული უკრაინული ტრადიციული ორნამენტები.

რუსეთის იმპერიის გეგმა ბორჯომისა და სამცხე ჯავახეთის გარუხების შესახებ ვერ განხორციელდა. საქართველოში ჩამოსახლებული უკრაინელები ქართულად ლაპარაკობდნენ. ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ და მათი ადათ-წესებიც გადაიღეს.¹⁷ თუმცა გარკვეული გავლენა ქართველებზე უკრაინელებმაც მოახდინეს ხაზგასმით აღნიშნულია ფილმში. ბორჯომის ხეობაში კარტოფილის კულტურა უკრაინელების დამკვიდრებულია. სასიამოვნო ფაქტია, რომ ბაკურიანში უკრაინელებმა აღადგინეს სამების სახელობის ძველი ეკლესია. ტაძართან სამანქანო გზა არ მიდის მლოცველები კილომატრიან აღმართს ფეხით ადიან. ამ ეკლესიაში დღეს ბაკურიანელების გარდა ხალხი მახლობად მდებარე სოფლებიდანაც მოდიან. მეოცე საუკუნის დასაწყისში უკრაინელების საქართველოში ჩამოსახლების მესამე ეტაპი დაიწყო. იმ წლებში უკრაინაში რამდენიმე ათასი ადამიანი შიმშილმა იმსხვერპლა. საქართველოში ჩამოსახლების პერიოდში

¹⁷ საველე კვლევები და საარქივო მონაცემები ადასტურებს, რომ უკრაინელები ადვილად შედიან ბიეთნიკური ქორწინებებში. მაგალითად აჭარის მმაჩის არქივისა და ბათუმის მმაჩის ბიუროს მონაცემებით უკრაინელები საქორწინო ურთიერთობებში შედიოდნენ შემდეგი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან: რუსები, ქართველები, ბელორუსები, სომხები, ბერძნები, აშქენაზი ებრაელები.

უკრაინელებს რუსები მალე მალე მალე უნოდებდნენ. ამიტომ დედოფლისწყაროს რაიონში მცხოვრები უკრაინელები თავს რუსებად მიიჩნევენ. დღეს უკრაინელები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ, მაგალითად კახეთის რეგიონში – სოფელი ახალმენი, ახალციხის რაიონში და აწყურის რაიონის სოფელ თისელში.

XX საუკუნის დამდეგს თბილისში დაფუძნდა უკრაინული თეატრალური ჯგუფი მ. ბელიაევას ხელმძღვანელობით, რომელმაც 1902-13 წლებში ორმოცდახუთამდე პიესა დადგა. ამავე წლებში საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა თავის მეუღლესთან, ეთნოგრაფ კ. კვიციასთან ერთად. 1880-86 წლებში კი თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლობდა ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, უკრაინის პირველი პრეზიდენტი მიხეილ გრუშევსკი.

უკრაინელების ძირითადი საქმიანობა საქართველოში იყო სოფლის მეურნეობა, ხისა და ქვის დამუშავება.

2002 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში 7 039 უკრაინელია. თბილისში ამჟამად ქართულ-უკრაინული სკოლა არსებობს. იგი 1998 წელს გაიხსნა. ამჟამად სკოლაში 170 ბავშვია. თითქმის ყველა მათგანი ქართულად და უკრაინულად თავისუფლად მეტყველებს.

ოსები: ¹⁸ფილმში მოთხრობილია ოსების ისტორია, აღნიშნულია, რომ ოსი ერის ჩამოყალიბება ძველი ნელ-თაღრიცხვით მე-8—მე-7 საუკუნეებში დაიწყო, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში სკვითურ-სარმატულ-ალანური ტომები გამოჩნდნენ და აბორიგენულ მოსახლეობას შეერივნენ. ქართველურ ტომებთან ურთიერთობაც, სავარაუდოდ, იმავე პერიოდში დაიწყო. ხაზგასმულია ისიც, რომ ოს ხელმწიფეთა ასულები ცოლად ჰყავდათ ქართველ მეფეებს — გიორგი პირველსა და ბაგრატ მეოთხეს. ოსი იყო თამარ მეფის დედა — ბურდუხანი. თამარის მეუღლესაც, ქართველთა ლაშქრის ლეგენდარულ სარდალს — დავით სოსლანს ქართველი და ოსი წინაპრები ჰყავდა. ადრეფო-დალურ ხანაში ჩრდილოეთ კავკასიაში ალანთა ძლიერი სახელმწიფო შეიქმნა. ქრისტიანობა მე-6 საუკუნეში მიიღეს, სახელმწიფო რელიგიად კი მეათე საუკუნეში გამო-

¹⁸ ლორია მ. დოკუმენტურ ფილმში „მრავალენიკური საქართველო“ ასახული ეთნორელიგიური ასპექტები (ოსები).- ჩვენი სულიერების ბალაგარი (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი, 2009:121–124. დანვრ. იხ. ზურაბაშვილი ლ. ეროვნებათმორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში, თბ., 1989; რელიგიები საქართველოში, თბ., 2008; საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ. I., თბ., 2003; თოფჩიშვილი რ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997. მისივე, ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008; ხუციშვილი ქ. რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბ., 2004.

აცხადეს. მე-13—მე-14 საუკუნეებში, თათარ-მონღოლთა და თემურ ლენგის შემოსევების დროს, საქართველოში ოსების მიგრაციის ყველაზე დიდი ეტაპი დაიწყო. ისინი მაღალმთიანეთში სახლდებოდნენ. მე-18 საუკუნის ბოლოს ქვეყანაში 6 ათასამდე ოსური კომლი აღირიცხა.

2002 წლის საქართველოს მოსახლეობის მასალების მიხედვით საქართველოში 80 ათასამდე ოსი ცხოვრობს. თბილისში მათი რიცხვი 20 ათასს აღწევს. დაახლოებით 30 ათასი ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში სახლობს. ოსები ქვეყნის ყველა რეგიონში ცხოვრობენ. კომპაქტური დასახლებები, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოშია. მხოლოდ კახეთში ოცამდე ოსური სოფელია.

საქართველოში ოსები სარგებლობენ იმავე უფლებებით როგორც ქართული მოსახლეობა. მაგ. თბილისში გახსნილია საკვირაო სკოლა, სადაც დედაქალაქში მცხოვრები ოსი ბავშვები მშობლიურ ენას სრულყოფენ. თბილისში მათთვის ტელემაუწყებლობა და რადიო ფუნქციონირებს. 2007 წლის სექტემბერში თბილისში, კოსტა ხეთაგუროვის ქუჩაზე დიდი ოსი პოეტის ბიუსტი აღიმართა და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოსოლოგიის კათედრა დაარსდა. ასევე, ფილმში სათანადოდ გამახვილებულია ყურადღება ოსების რელიგიაზე, თქმულებებზე, ადათ-წესებზე – ცეკვის თავისებურებებზე, სტუმარ-მასპინძლობაზე, სუფრის ეტიკეტზე, თამადის

ინსტიტუტზე, კერძებზე, ეროვნულ სამოსზე, ქართულ-ოსურ მეგობრობაზე. აქვე ავლნიშნავთ, რომ 1975 წელს მირიან ხუციშვილის მიერ გადაღებულია საინტერესო კადრები ოსეთზე. მასალაში მოცემულია ოსეთის სოფ. დარგავსის სასაფლაო – „მკვდართა ქალაქი“ აკლდამეებითა და საფლავის ქვებით, აგრეთვე პეიზაჟები.¹⁹

¹⁹ ხუციშვილი მ. ოსეთი, შავ-თეთრი, 35 მმ. დაახლოებით 10 წთ., 1975.

თავი მეორე

ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფა

საქართველოში ეთნოგრაფიული ელემენტები გამოყენებულია პირველ ქართულ დოკუმენტურ ფილმში „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჩა-ლენხუმს“ (1912). თავისი იდეური მიზანდასახულობით, მხატვრულ-პროფესიული დონითა და მეტრაჟითაც (1200 მ. რაც იმ დროისათვის იშვიათი მოვლენა იყო). ფილმი მაშინდელი მსოფლიოს დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია.²⁰ ვ. ამაშუკელი მექანიკურად კი არ აღბეჭდავს ფირზე აკაკის ცნობილი მოგზაურობის თავისთავადაც მიმზიდველ კადრებს, არამედ აშკარად გვაგრძნობინებს ხალხის ეროვნულ შემართებას, ქმნის ცოცხალ შთამბეჭდავსურათს. თვით აკაკის მოთხოვნით, პირველმა ქართველმა კინოოპერატორმა ვასილ ამაშუკელმა ფირზე ასახა ცეკვა ფერხული, რომელსაც რაჭველი გლეხები ქართველი მგოსნის საპატივცემულოდ ასრულებდნენ. აკაკის ამ ტრიუმფალურ მოგზაურობის დროს, ამ სახალხო დღესასწაულში ონელ ებრაელებსაც მიუღია მონაწილეობა, როდესაც ვ. ამაშუკელი კინოფირზე მოგზაურობის გადაღე-

²⁰ გოგაძე კ. ვასილ ამაშუკელი (კინოოპერატორი), თბილისი, 1954, გვ. 18-19; დოლიძე გ. კინო.- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1981, გვ. 304.

ბით შთამომავლობას შეუფასებელ დოკუმენტურ ფილმს უქმნიდა, ერთერთი კადრი მან სპეციალურად ონელ ებრაელთა წარმომადგენლებს მიუძღვნა, რაც შემთხვევითი არ არის. ონელ ებრაელთა დეპუტაციას პოეტისათვის ხონჩზე დადებული ნამცხვარი მიურთმევია, რომელზეც ჩანგი, სამელნე და კალამი იყო გამოხატული, ხოლო მათ წარმომადგენელს ფილხაზ შიმშელაშვილს თავის სიტყვაში ასე აღუნიშნავს: „დიდებული მგოსანო, ჩვენ ებრაელების და ქართველების ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს ერთმანეთ შორის, რომ არ განვირჩევით ერთმანეთისაგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი, ამიტომ ვალდებულად ვთვლით ჩვენ თავს, რომ ერთად ქართველ ძმებთან, ჩვენ მეზობლებთან მონაწილეობა მიგველო ამ თქვენს ბედნიერ დღეობაში. ამასთანავე ნიშნად პატივისცემისა ებრაელებისაგან გთხოვთ მიიღოთ ეს მცირედი ძღვენი. მუდამ სახეში იქონიოთ, რომ ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებს შორის არ ყოფილა განსხვავება, არ არის და არ იქნება...“²¹.

XX საუკუნის 30–იან წლებში, ასევე ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველი დოკუმენტალისტების გააქტიურება. მათი მუშაობა მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს: „საშე-

²¹ ხანანაშვილი დ. ქართველ ებრაელთა სამადლობელი.- განთიადი, №5, 1988, გვ. 230.

მოდგომო ლაშქრობა”, „რთველი”, „აფხაზეთი”, „აჭარის-ტანი”, „ქართველი ებრაელები”, „ცეცხლოვანი კოლხეთი”, „მოსახლეობის საყოველთაო აღწერა”, „თბილისი”, „უგუბზიარა” და სხვა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კინორეჟისორ მიხეილ კალატოზიშვილის (კალატოზოვი) მოღვაწეობა. მისი პირველი რეჟისორული ნამუშევრებია ფილმები: „მათი სამეფო“ (1928), „მამაცობა“ (1939), „ვალერი ჩკალოვი“ (1941), „განწირულთა შეთქმულება“ (1950), „ერთგული მეგობრები“ (1954), „პირველი ეპელონი“ (1956), „მიფრინავენ წეროები“ (1957), „გაუგზავნილი წერილი“ (1960), „წითელი კარავი“ (1970).²²

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია კალატოზოვის მიერ 1930 წელს გადაღებული ფილმი „ჯიმ შვანთე“ („მარილი სვანეთს“). ამ ფილმს მიიჩნევენ, როგორც „შესანიშნავ ეთნოგრაფიულ ტილოს”, „მხატვრულ-დოკუმენტურს”, „პუბლიცისტურს” და ა.შ.

ფილმი იწყება ზემო სვანეთის გეოგრაფიული მდებარეობისა და მისი მიდამოების ჩვენებით. ნაჩვენებია მაღალი მწვერვალებით ალყაშემორტყმული ალპური მდელოე-

²²

გოგაძე კ. ვასილ ამაშუკელი (კინოოპერატორი), თბილისი, 1954, გვ. 18-19; დოლიძე გ. კინო.- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1981, გვ. 304; ჟვანია გ. ქართული დოკუმენტური კინო, თბილისი, 1990, გვ. 54-55; Шамиладзе В., Лория М. Отражение этнографического аспекта в грузинском документальном кино (30 годы XX века).- Археология, Этнография и Фольклористика Кавказа, Махачкала, 2007, С. 242-244.

ბი, დანისლული პირქუში მთები, მდინარეები, გარე სამყაროს მონყვეტილი უშგული, თოვლით ჩახერგილი ყველა მისადგომი და სვანური კოშკები. ფილმის მიხედვით, კოშკებს სტრატეგიული ფუნქცია აკისრიათ. მოცემულია ისტორიული ეპიზოდები. ეკრანზე მოჩანს ადგილობრივი თავადების თავდასხმა თავისუფალ სვანებზე. ნაჩვენებია მშვიდობიანი ცხოვრებაც. ფილმის გმირების ერთადერთი სიმდიდრე მსხვილფეხა საქონელია. სოფლის ნახირი და ფარა იალაღზე გაშლილი. საძოვრები არის, მაგრამ რძე ცოტაა, რადგან წყალი უმარილოა — გვამცნობს ფილმის ტიტრები. მთელ ეკრანზე მშრომელი სვანის ხელები მოჩანს: ცხვრის მკრეჭავი, მატყლის მჩეჩავი, ძაფის დამრთველი ქალი, რომელიც არის ჩამუხლული და მისი ხელაპყრობილი ხელები ამავე დროს ლოცვის ილუზიას ქმნიან. დეტალურად, რითმული თანმიმდევრობით ნაჩვენებია მუშაობის პროცესი. მზადდება წინდები, ჩოხა, ქუდი... ფილმში მოცემულია სხვადასხვა წარმართული რიტუალები. ასევე, ბავშვის დაბადებისა და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ტრადიციები.

„ჯიმ შვანთე“ შესულია ისეთი ქვეყნების კინოფონდებში, როგორცაა საფრანგეთი, ამერიკა, იტალია... ამ ფილმის მიხედვით სტუდენტებს ასწავლიან მონტაჟს,

კადრის კომპოზიციას, ფილმის არქიტექტონიკას.²³ აქვე არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ ფაქტს, რომ ქართული ეთნოგრაფიული ელემენტები აქტიურად აისახებოდა ძველ და აისახება თანამედროვე ქართულ კინემატოგრაფიაში. საილუატრაციოდ მოკლედ განვიხილავთ ჩვეულებით სამართალთან, კერძოდ ლინჩთან დაკავშირებით რამოდენიმე ქართულ მხატვრულ ფილმს. ლინჩის ტიპის სასამართლომ ფეხი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოიკიდა. ასე მოხდა საქართველოშიც, სადაც ჯგუფური გასამართლების ამდაგვარმა ფორმამ თავდაპირველი სახე იცვალა. მან მოდერნიზაცია განიცადა და უფრო დაუახლოვდა ჩვეულებით სამართალს - ეთნოსამართალს. გააჩნია თუ არა საქართველოში ლინჩის სასამართლოს ისტორიული საფუძველი?. გააჩნია და იგი წარსულში ადათობრივი სამართლის სახით იყო წარმოდგენილი. ძველ საქართველოში, ფეოდალური იურიდიული სისტემის – ფეოდალური კანონმდებლობის პირობებში, იქ, სადაც ცენტრალური ხელისუფლება სუსტდებოდა, განსაკუთრებით მაღალმთიან პერიფერიებში, სიცოცხლისუნარიანი ადა-

²³ ამირეჯიბი ნ. სინემატოგრაფიდან კინემატოგრაფიამდე, თბილისი, 1990, გვ. 129–137; სეფიაშვილი ო. ჯიმ შვანთე ფილმის აპოლოგია და ინტერპრეტაციის ცდა.– ეკრანი და დრო, თბილისი, 1969, გვ. 283–294; თვალჭრელიძე ტ. ექსპრესიული ეკრანი (მიხეილ კალატოზოვის მხატვრული მეთოდი).– კინემატოგრაფიული ძიებანი, თბილისი, 1989, გვ. 5.

თობრივი სამართალი ხდებოდა. წერილობითი წაყროე-
ბიდან ირკვევა, რომ ლინჩის ტიპის სასამართლო, რომელ-
თაც სათავეში, ძირითადად, უხუცესები ედგნენ, საქარ-
ველოს ტრადიციულ პერიფერიებში ადრე მთლიანად აგე-
ბული იყო ჩვეულებით სამართალზე და ითვალისწინებდა
პიროვნების მოკვეთასა და სიკვდილით დასჯას. სას-
ჯელის სახეებიდან ცნობილი იყო ჩაქოლვა, მდინარეში
დახრჩობა, ვირზე უკულმა შესმა, თმის გადაპარსა, ძელზე
გასმა, განკეპვლა, თემიდან მოკვეთა, დარისხება. მძიმე
ეკონომიკურ სასჯელად ითვლებოდა, აგრეთვე, სა-
ზღაურის დაკისრება. პიროვნებას ან ინდივიდთა ჯგუფს
სხვადასხვა ტიპის დანაშაულის ჩადენისათვის – მრუმო-
ბისათვის, განსაკუთრებით, კუდიანობასა და დემონებთან
კავშირში მხილებისათვის, ხევისბერები და მახვშები -
თემში გამორჩეული ადამიანები და თემის წინამძღოლები
ასამართლებდნენ.²⁴ დასახელებული საკითხების ზო-
გიერთი ასპექტი კარგად ჩანს შემდეგ ქართულ ფილმებში.
მაგალითად: 1964 წელს გადაღებული ქართული ფილმი
„ხევისბერი გოჩა“. ფილმი გადაღებულია ალექსანდრე

²⁴ მოხსენება წაკითხულია საერთაშორისო კონფერენციაზე - Mgeladze N.,
Loria M. Modern Problems of Legal Anthropology in Georgia (“Lynch law”),
Perceptions of the State and Legal Practice in the Caucasus Anthropological
Perspectives on Law and Politics, Volkswagen-Foundation (Hannover, Germany),
Philipps-University Marburg, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethno-
logy, Shota Rustaveli State University, 2011

ყაზბეგის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. ფილმში მოცემულია ხევის სამართალი. ფილმის ერთერთი გმირი გუგუა თავის ქორწილში ხელისმომკიდედ ძმადნაფიც ხევისბერი გოჩას შვილს ონისეს აირჩევს, მაგრამ ონისეს და პატარძალს, ძიძიას ერთმანეთი დანახვისთანავე შეუყვარდებათ. ხევი დამპყრობელი ფეოდალის, ნუგზარ ერისთავის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება. ონისეს დავალებული აქვს მოძმეებს მტრის გამოჩენა ამცნოს, მაგრამ ძიძიასთან ალერსი გაიტაცებს და მტრის შემოსევას ვერ შენიშნავს. ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ხალხი მოლალატის დასჯას მოითხოვს. გუგუა ოჯახის შერცხვენის გამხელას, სიკვდილს არჩევს, ონისე მზად არის დანაშაულისთვის პასუხი აგოს. შვილის უპასუხისმგებლობით გამწარებული ხევისბერი გოჩა ონისეს ხანჯლით განგმირავს. თავსდამტყდარი უბედურება ხევისბერს ჭკუიდან შეშლის²⁵; „ნატვრის ხე“ - თენგიზ აბულაძის 1976 წელს შექმნილი ფილმი გიორგი ლეონიძის მოთხრობების მიხედვითაა გადაღებული. ილმი სოფლის მოზაიკურ პანოს წარმოადგენს, რომელშიც სინამდვილე ორგანულადაა შერწყმული პირობითთან. ამ იდეალისტთა, მეოცნებეთა, ამპარტავანთა და პატივმოყვარეთა სამყაროში მთავარი სიუჟეტური ხაზი ორი მთავარი გმირის - მარიტასა და გედიას ტრაგიკული

²⁵ სანიშვილი ნ. ფილმი: ხევისბერი გოჩა, 1964

სიყვარულით არის წარმოდგენილი, რომელთაგანაც გადაჯაჭვულია სოციალური წყალგამყოფი ხაზის ორთავე მხარეს მოქცეულ სხვა პერსონაჟთა ბედი. ფილმში ქმრის ღალატის ეგიდით ვირზე უკულმა შესმულ მარიტას ატარებენ კარდაკარ და ტალახის სროლით ქოლავენ, ხოლო გედიას - იარაღით კლავენ²⁶; 2007 წელს გადაღებულია ფილმი „სვანი“. სადაც გადმოცემულია ორი გვარის წარმომადგენლებთან დაკავშირებული ადათობრივი სამართლის და სისხლის აღების წესის ჩვეულებანი სვანეთში²⁷.

საქართველოში პირველ სამეცნიერო-საკვლევო ექსპედიცია კინოტექნიკის გამოყენებით 1960 წ. მოეწყო საქართველოს მთიანეთში. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის იმჟამინდელი რელიგიის ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ასევე არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებათა თანამშრომლები. 1960 წლის ეს ეთნოლოგიური ექსპედიცია შეიძლება ჩაითვალოს ქართული ეთნოლოგიური დოკუმენტური კინოს დაბადების ადგილად და თარიღად. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ისტორიული ძეგლისა თუ მატერიალური და სულიერი ყოფის ამსახავი ცალკეული ეპიზოდების გადაღება საქართველოში ადრეც ხდებოდა, მათ არ ახასიათებდათ ანთროპოლოგიური

²⁶ აბულაძე თ. ფილმი: ნატვრის ხე, 1976

²⁷ ჯაჭვლიანი ს., ჯაჭვლიანი ბ. ფილმი: სვანი, 2007

ფილმების მთავარი ნიშნები: გადასაღები ობიექტის შერჩევისას უნდა ეხელმძღვანელათ მხოლოდ ნატურალური გადაღების მეთოდით ყოველგვარი კონსტრუირებისა და ხელოვნურად დადგმული სცენების გარეშე და ა. შ. ზემოთ ნახსენები სტანდარტების მკაცრი დაცვით გადაღებული ტიპური ანთროპოლოგიური ფილმი თავისუფალია ყოველგვარი სტრუქტურირებისა და ხელოვნური ვიზუალური ეფექტებისაგან. იგი იქმნება კინოგადაღების მეცნიერულად დამუშავებული მეთოდის გამოყენებით, ეთნოლოგ-კონსულტანტის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. დაარსების დღიდან კინოფონდს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქართული ეთნოლოგიური დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელი ბ-ნ მირიან ხუციშვილი ხელმძღვანელობს. იგი წლების მანძილზე წარმატებით უთავსებს ერთმანეთს ეთნოლოგისა და კინოპერატორის საქმიანობას.

1960 წლიდან მუზეუმმა მრავალი სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა რეგიონში, მოიძია და ფირზე აღბეჭდა დაახლოებით 300 საათიანი უნიკალური დოკუმენტური მასალა – საქართველოს ცალკეული კუთხეების, აგრეთვე დაღესტნის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ოსეთის კულტურული მემკვიდრეობა, რის საფუძველზე ჩვენთვის საინტერესო მიმართულებით მომზადდა ფილმები: „ფშა-

ვი”, „თუშეთი”, „ხევსურეთი”, „მთიულეთ-გუდამაყარი”, „საუღელტეხილო რკინიგზის კვალდაკვალ”, „ყველიერი საქართველოში”, „ქართველები ირანში”, „მტკვრის კვალდაკვალ”, „საქართველოს მუზეუმი”, „რაჭა-ლეჩხუმი”, „უაილდ ვესთის მხედრები”...

დასახელებულ ფილმებში უმთავრესად გადაღებულია საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა რეგიონში შემორჩენილი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, უპირატესად, საკულტო დანიშნულების ნაგებობები და მათთან დაკავშირებული მრავალფეროვანი რიტუალები. ასევე, საკმაოდ დიდი სიზუსტით გადაღებული ტრადიციული, ხალხური რენვის, სამეურნეო საქმიანობისა თუ მთიელთა ყოფა-ცხოვრების სხვა სფეროების ამსახავი კადრები (ლუდის ხარშვა, ფარდაგის ქსოვა, ჯირითი, ქორნილი, ნათლობა, ფარიკაობა, მიცვალებულის დატირება და სხვ.). ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივ სამოსსა და მის ელემენტებზე. შეიძლება ითქვას, რომ ფილმებში სათანადოდ აისახა მთიელთა ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, ხალხური რენვის დარგები და მათი ცხოვრების სადღესასწაულო-სარიტუალო და ყოფითი მხარეები. ყოველივე ეს ნაჩვენებია შთამბეჭდავი ლანდშაფტისა და მატერიალური კულტურის შემორჩენილი ძეგლების ფონზე. შეძლებისდაგვარად ასახულია ადგი-

ლობრივ მცხოვრებთა თანამედროვე ყოფა და მათ წინაშე მდგარი პრობლემებიც²⁸.

საილუსტრაციოდ მოკლედ დავახასიათებთ მირიან ხუციშვილის რამოდენიმე ფილმს.

მთიულეთ-გუდამაყარი. ფილმში ნაჩვენებია მთიულეთ-გუდამაყრის პეიზაჟები, მღეთის წმინდა გიორგის ეკლესია სოფ. ოგონაურსა და სოფ. ჩოხში, აგრეთვე ადგილობრივი ხატობა – დღეობანი. ფილმი იწყება საქართველოს სამხედრო გზის პეიზაჟებით, რასაც ცვლის ადგილობრივთა ტიპაჟების, სამეურნეო საქმიანობის, ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მდებარე გოგონაურთა სალოცავი ხატის, მსხვერპლთმწივნის რიტუალის, სოფ. მღეთის წმინდა გიორგის ეკლესიისა და ხალხმრავალი დღესასწაულის ამსახავი კადრები. შემდეგ გადაღებულია ლომისის ჯვრის სალოცავი (მის შორიახლოს ადრექრისტიანული ბაზილიკაა აგებული) და ლომისობა მისთვის დამახასიათებელი ყველა რიტუალით. ფილმი სოფ. ჩოხის ეკლესიისა და ამ სოფლის მცხოვრებთა სამეურნეო საქმიანობის ამსახავი კადრებით გრძელდება. გუდამაყარში კი გადაღებულია პირიმზე პირის ანგელოზის ხატისადმი მიძღვნილი დღეობა (ხატი ხევსურეთიდანაა “წამობრძანებული“. ხატობაში საგანგებოდ ხევსურეთიდან გადმოსული მლოც-

²⁸ გოცირიძე., მახარაძე, 2006, გვ. 14-17.

ველნიც მონანილეობენ) და მსხვერპლთშენიერვის რიტუალი, რომელსაც ხევისბერი ხელმძღვანელობს. დასასრულ ნაჩვენებია დუშეთის რაიონის სოფ. ცივწყაროში გამართული „მწყემსის დღისადმი“ მიძღვნილი თანამედროვე დღესასწაული – ჭიდაობა და ფოლკლორულ ანსამბლთა კონცერტი.²⁹

ყველიერი საქართველოში. ფილმში გადაღებულია უძველესი ქართული დღესასწაული უდემში, ვალეში, პატარა ჩაილურსა (საგარეჯოს რ-ნი) და მატანში (ახმეტის რ-ნი). ყველიერის დღესასწაული, როგორც წესი, იმართებოდა ადრე გაზაფხულზე, გრძელდებოდა ერთი კვირა და უსწრებდა ქრისტიანულ საგაზაფხულო დიდ მარხვას. ველიერი არაქრისტიანული წარმოშობისაა, მაგრამ ეკლესიის მიერ არ იღვევებოდა და ყველა ოფიციალური მოძრავი ქრისტიანული დღესასწაულის მსგავსად აღდგომის მიხედვით გამოითვლებოდა. ყველიერის კვირაში ტარდებოდა ბერიკაობა-ყეენობა, რომელიც სხვადასხვა სახით მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ვირის ყოველ დღეს იმართებოდა რიტუალი, რომლის მიზანი იყო ზამთრის გაცილება და ახალი სამეურნეო წლის შეგებება. მაშინ, როდესაც მრავალი სახალხო დღესასწაული საქარ-

²⁹ ხუციშვილი მ. მთიულეთ-გუდამაყარი, შავ-თეთრი, 35 მმ. დაახლოებით 30 წთ., 1978.

თველოში სამუდამოდ მიივიწყეს, ბერიკაობა-ყეენობა მისთვის ნიშანდობლივი მასობრივი თეატრალიზებული ხასიათის გამო დიდხანს შემორჩა როგორც ქართველთა ტრადიციული ყოფის ერთ-ერთი კოლორიტული ელემენტი. ფილმში ნაჩვენებია, თუ როგორ ორგანულად ერწყმის თანამედროვე ყოფას ტრადიციული, როგორ ცდილობენ დღესასწაულის მონაწილენი არქაული ატრიბუტიკა და ანტიურაჟი თანამედროვეობას მიუსადაგონ და გამოიყენონ მათ წინაშე მდგარი რეალური პრობლემების გადასაწყვეტად.³⁰

ხევისურათი. ფილმში ძირითადად XX ს-ის 20-იანი წლების საარქივო მასალაა გამოყენებული და ნაჩვენებია : ხევსურთა ყოფაცხოვრება (გაკრეჭვა, პირის პარსვა), ხევსური მამაკაცებისა და ქალების პორტრეტები, მათი სამეურნეო საქმიანობა – ფარდაგის ქსოვა, კერვა, თიბვა, ხანჯლის გაჭედვა, ყველის ამოყვანა, ასევე ხევსურთა ტრადიციული კოსტიუმი, მიცვალებულის გარდაცვალების ორმოცი დღის აღნიშვნის რიტუალი – სალოცავში მისვლა, მიცვალებულის ცხენის მორთვა, კუდის დაწვნა, ალაპის აღსრულება, სოფ. გუდანის ჯვრის ხატის ნაგებობანი, ხატის “განძი“ (ხატისთვის შეწირული ნივთები), ხატისთვის ბავშვის “მიბარების“, “სისხლით განათვლის“ რიტუ-

³⁰ ხუციშვილი მ. ყველიერი საქართველოში, შავ-თეთრი, 35 მმ. 30 წთ., 1986–1988.

ალი, რის შემდეგ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე “ხატის ყმად” ითვლებოდა და მას უნდა დამორჩილებოდა. გადელეებულია აგრეთვე შინაური ცხოველების ხატისთვის შენირვა, სარიტუალო დოლი, რომელშიც რამდენიმე ათეული მხედარი მონაწილეობს, “დროშის განყოფილება” ხევისბრის მიერ (სახატე დროშის აუცილებელი ატრიბუტი მასზე დაკიდებული მცირე ზომის ზანზალაკებია. ზარი ქართველ მთიელთა რელიგიურ რიტუალში მიიჩნეოდა როგორც ღვთის მოვლინების, ასევე მავნე სულების განდევნის საშუალებად. ამიტომ დროშის ზანზალაკებს აჟღერიალებდნენ, როცა კი დროშა მონაწილეობდა საჯვარხატო რიტუალში). ფილმის შემდეგ კადრებში აისახა ხევისურთა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ცხოვრება – მდინარეზე ცხენებით გადასვლა, ნალების დაჭედვა, ხევისურთა შეხვედრა, ფარიკაობა, ხვნა-თესვა, აგრეთვე სხვადასხვა სოფლის (არხოტი, მუცო, შატილი) პეიზაჟები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. საიქიოს შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ რწმენა-წარმოდგენებთანაა დაკავშირებული ფილმში შესული მიცვალებულისთვის ცხენის “შენირვის” ანუ “დაკურთხების” წესი. ასეთ ცხენს, როგორც აღინიშნა, “სულის ცხენი” ეწოდებოდა. მას მიცვალებულის დატირების რიტუალის დროს საგანგებოდ დაბანდნენ, განმენდნენ, ფაფარს დაუნავედნენ, ფარჩის “საფაფრეს” გაუკეთებდნენ, მრავალ

მძივ-ლილს დააკერებდნენ, ძუას დაუნნავდნენ და ბოლო-ში ფერად ნაჭრებსაც შეაბამდნენ. შემდეგ ცხენს შეკაზ-მავდნენ, უნაგირის ტახტზე ანთებულ სანთელს დააკრავ-დნენ, მათრახს ჩამოჰკიდებდნენ და უნაგირზე ხურჯინს გადაჰკიდებდნენ, რომელშიც „მკვდრის საგზალი“ – პური და არაყი იყო ჩანყობილი. იცვალებულის ტანსაცმელსაც თოფ-იარაღთან ერთად “სულის ცხენს“ გადაჰკიდებდნენ და ამგვარად მორთულ-მოკაზმულს დასაფლავების დღეს გარდაცვლილის თავთან დააყენებდნენ. “დაკურთხებუ-ლი“ ცხენი დიდ როლს თამაშობდა მიცვალებულის წლის-თავზე გამართულ სარიტუალო დოღშიც, რომლის ამსახა-ვი კადრებიც ასევეა შესული ფილმში. ამ დროს მას კვლავ ზემოთ აღწერილი წესით მორთავდნენ და დოღში მონაწი-ლე ცხენოსნებს წინ დაუყენებდნენ (უშუალოდ დოღში იგი არ მონაწილეობდა). დოღი მიცვალებულის სულის მოსახ-სენებელი რიტუალის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენ-ტი იყო და გარდაცვლილის დიდ პატივისცემად ითვლებო-და. ლოგორც წესი, იგი წლისთავზე იმართებოდა (იყო გა-მონაკლისიც, როდესაც დოღს დასაფლავების დღეს მარ-თავდნენ). მასში ხუთი მხედარი მაინც მონაწილეობდა, თუმცა, რაც უფრო მეტ ცხენს გამოიყვანდნენ, ეს მით უფ-რო მეტი პატივის გამოხატვა იყო მიცვალებულისა და მი-სი ოჯახის მიმართ. დოღს უმართავდნენ როგორც გარ-დაცვლილ მამაკაცს, ისე ქალს. დოღში მონაწილე ცხენებს

განსაკუთრებული გულმოდგინებით ამზადებდნენ: ძუა--
ფაფარს უნნავდნენ და ფერადი მძივებით რთავდნენ. დო-
ლის ცხენებს უნაგირს არ ადგამდნენ (უნაგირით შეკაზმუ-
ლი მხოლოდ „სულის ცხენი“ იყო), მუცელზე ჰქონდათ
სარტყელი ამოკრული, რათა თავდაღმართში მხედრებს
ხელი ჩაეჭიდათ. დოლში გამარჯვებულებს ჭირისუფალი
სხვადასხვა ჯილდოს გადასცემდა: ძროხას, მოზვერს,
ცხვარს, ფარდაგს, ხალიჩას, ზოგჯერ, ფულსაც. დოლს
მთელი სოფელი ესწრებოდა. ისი დასრულების შემდეგ
მხედრებს შეეგებებოდნენ, ცხენებს ჩამოართმევდნენ და
მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ალაგს წაიყვანდნენ,
სადაც მიცვალებულს დაალოცვინებდნენ. ფილმში ნაჩვე-
ნებია მაღალმთიანი ხევსურეთის მკვიდრთა არქაული
ელემენტებით უხვად გაჯერებული ტრადიციული ყოფა
და საქმიანობა, ორიგინალური ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებ-
ები, საცხოვრე ბელი და სამეურნეო ნაგებობანი. განსა-
კუთრებული ყურადღება ეთმობა სოფ. შატილის შუა საუ-
კუნეების საცხოვრებელ- თავდაცვითს კომპლექსს, რომე-
ლიც ხალხური ხუროთმოძღვრების უნიკალური ნიმუშია.³¹

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აღსანიშნა-
ვია რეჟისორ სოსო სტურუას საქმიანობა, რომელმაც სა-
ქართველოს ტელევიზიებში არაერთი საინტერესო ეთ-

³¹ ხუციშვილი მ. ხევსურეთი , შავ-თეთრი, 35 მმ. დაახლოებით 80 წთ., 1995;
გოცირიძე., მახარაძე, 2006, გვ. 29-35.

ნოგრაფიული ფილმი და ნარკვევი გადაიღო საქართველოში, თურქეთსა და აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველთა ეთნოკულტურის შესახებ. შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ფილმები: „ქალების ნადი“³² - მატყლისაგან ძაფის დართვა და საამისოდ, უძველესი ჩვეულებისამებრ, ქალების ნადის გამართვა სიმღერის თანხლებით; „ფანდური“³³ - ამ ისტრუმენტის დამზადების მთელი პროცესი; „გოდორი“³⁴ - დასაწნავი მასალის მოპოვება და დაწვნა; „თამბაქო და ატრია“³⁵ - ნარკვევში ნაჩვენებია საჭრელი დაზვის აწყობა, სადაც ხდება თამბაქოს და ატრიის დაჭრა. „მაჭახელი“³⁶ - ცივი საბრძოლო და ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი, ფითილიანი, კაჟიანი და კაფსულიანი საკეტების მოქმედების პრინციპი, შაშხანის დანიშნულება, მაჭახლის იარაღის უძველესი ნიმუშები და სხვა.; „ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“³⁷ - ზემო აჭარის ყოფაში დღემდე დაცული ეთნოგრაფიული ტრადიციები: თოვლზე საბიჯებელი თხილამურების შეკვრა, ციგის დამზადება და გამოყენება, მთიდან ციგებით თივის ჩამოტანა, ხის კბილებიანი საკეტი - დათვა-ბოყვა;

³² ქალების ნადი, 2001.

³³ ფანდური, 2001.

³⁴ გოდორი, 2001.

³⁵ თამბაქო და ატრია, 2001.

³⁶ მაჭახელი, 2002.

³⁷ ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, 2002.

„სარფი მოლენი“³⁸ - ლაზებით დასახლებული სოფლების ისტორია, ლაზური საცხოვრებელი სახლი, ქვის სატყორცნი შურდულის დამზადება და გამოყენება, საზღვაო ნავის დამზადება, თევზსაჭერი ბადეების ნაირსახეობა, ქსოვა და თევზის ჭერა, ლაზური კერძები, ქორწილი; „მეცხვარის ნაბადი“³⁹ - ცხვრის გაკრეჭა, მატყლის გადამუშავება და თუში ქალების მიერ ნაბდის მოთელვა; „სვანური ქუდი“⁴⁰ - ნაბდის ქუდის დამზადება, მნიშვნელობა და დახურვის წესი; „საახალწლო ჩვეულებანი“⁴¹ - ფილმი სამი ნაწილისაგან შედგება და გურიაში, აჭარასა და შავშეთში შემონახულ უძველეს ქართულ საახალწლო ჩვეულებებზე მოგვითხრობს; „გალმამხარელნი“⁴² - ნაჩვენებია ინგილოთა ყოფა-ცხოვრების ზოგიერთი ელემენტი. იგი რამოდენიმე ეთნოგრაფიულ ნარკვევს აერთიანებს: საცხველი, კირის მოპოვება და გამონვა, საოჯახო საკირე, ხილის გახმობა, თონის დადგმა და პურის გამოცხობა, მარანი, ორშიმოსა და სარცხის დამზადება; „შორ-ვართ“⁴³ - ჟურნალი „ჩვენებურები“, დედა ენის, საქართველოს ისტორიის, სტამბულელ ავტორთა სხვა ქართული გამოცემების ისტორია, მუსიკალურ კოლექტივთა საქმიანობა...; „მარიობა

³⁸ სარფი მოლენა, 2002. I-II.

³⁹ მეცხვარის ნაბადი, 2005.

⁴⁰ სვანური ქუდი, 2005 წ.

⁴¹ საახალწლო ჩვეულებანი, 2005.

⁴² გალმამხარელნი, 2005.

⁴³ შორ-ვართ, 2006.

არ დაგვიშლია”⁴⁴ - მარიამობა და ბერიკაობა, იმერხეული ყველი - ფუნჩხულა, თოკის გრეხვა, თიბვა, შავშეთ-იმერხეული ფოლკლორი; „ნაღვერდალი”⁴⁵ - თურქეთში ბურსის ვილაეთის ინეგოლის რაიონში მცხოვრები ქართველები და ინეგოლელ ქართველთა ყოფისა და ფოლკლორის ნიმუშები, სათვისტომოს საქმიანობა; „აჩაჩა ურემი”⁴⁶ - ურმის დამზადების ცალკეული ეტაპები და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საკითხები; „გუდის ყველი”⁴⁷ - დმანისის რაიონის მაღალმთიან სოფელ გომართში გუდის დამზადება, ცხვრის რძისგან ყველის მომზადება და გუდაში ყველის შენახვის უძველესი ჩვეულება; „ქვის კეცი”⁴⁸ - ოზურგეთის რაიონში ქვის მოპოვება და კეცის გამოთლა; „დოლი”⁴⁹ - ბათუმელი ოსტატის მიერ დოლის დამზადება - ტყავის მინაში გამოყვანა, რკალის მოდრეკა...; „ბორანი რიონზე”⁵⁰ - მებორნის საქმიანობა, მოსავლის აღება, მისი ბორნით გადმოტანა, დაბინავება; „კაკ-ენისელი”⁵¹ - აზერბაიჯანის კახის რაიონის მკვიდრ ქართველთა ყოფისა და ფოლკლორის ამსახველი რამდენიმე

⁴⁴ მარიამობა არ დაგვიშლია, 2006.

⁴⁵ ნაღვერდალი, 2007.

⁴⁶ აჩაჩა ურემი, 2007.

⁴⁷ გუდის ყველი, 2008.

⁴⁸ ქვის კეცი, 2008.

⁴⁹ დოლი, 2008.

⁵⁰ ბორანი რიონზე, 2008.

⁵¹ კაკ-ენისელი, 2008.

ნარკვევი: სამჭედლო, ნალდის დამზადება, წინდის ქსოვა, უძველესი კერძები და სხვა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მირიან ხუციშვილისა და სოსო სტურუას ფილმები მაღალი სამეცნიერო ღირებულებისაა.

ქართულ საუნივერსიტეტო და სამეცნიერო სივრცეშიც თანამედროვე ეტაპზე აქტიურად დაიწყო ეთნოგრაფიული თემატიკის ფილმების მომზადება. პირობითად განვიხილავთ ჩვენს მიერ მომზადებულ რამოდენიმე ფილმს.

ალპური დასახლება აჭარაში (გოდერძის უღელტეხილი-ბეშუმში):⁵² ფილმში განხილული იქნა გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის ალპური სეზონური დასახლებები, ისტორიული წარსული, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, საკურორტო, სამკურნალო შესაძლებლობები, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული თავისებურებანი.

საქართველოს სხვა მთიანი რეგიონების მსგავსად, აჭარის მთიან ზონაშიც მესაქონლეობა წამყვან როლს თამაშობდა და მიწათმოქმედებასთან სიმბიოზური ფორმით ვითარდებოდა.

⁵² ლორია მ. ფილმი: ალპური დასახლება აჭარაში (გოდერძის უღელტეხილი-ბეშუმში), 2007.

ალპურ მეურნეობასთან, და, შესაბამისად, ალპურ მესაქონლეობასთანაა დაკავშირებული ცნებები: „მთობა“, „მემთევრი“, „მემთევრობა“, აგრეთვე „შუამთობა“, როგორც ხალხური დღესასწაული.

მთის სინონიმად იქცა იაილები (ზემო აჭარის მესაქონლეთა გაგებით, იაილებში წასვლა მთაში წასვლას გულისხმობს), სადაც 3–3,5 თვის მანძილზე რჩებოდნენ და შემდეგ ისევ ბარში ბრუნდებოდნენ.

მაღალ მთაში წასვლამდე მესაქონლე ოჯახები საქონელს ყიშლებში ამყოფებდნენ. გოდერძისა და ბეშუმის იალალ–საძოვრები გადაჭიმულია ვრცელ ტერიტორიაზე.

ამ ზონის სეზონური საცხოვრებელი სახლის ადრეულ ტიპს განეკუთვნება ჭდობით ნაშენი ერთსართულიანი, ანუ ძირითადი ჯარგვალური (მრგვალი, გაუთლელი ხეებით ნაშენი) ნაგებობა მეტწილად შუაში გამჭოლი დერეფნით, რომელშიც მესაქონლე და საქონელი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა. გოდერძისა და ბეშუმის მიდამოებში, ისე როგორც აჭარის სხვა ალპური საძოვრების ზონაში, **XX** საუკუნის მეორე ნახევრამდე იყო შემორჩენილი და მას თავდაპირველი ფუნქცია დაკარგული არ ჰქონდა. ერთსართულიანი, ანუ ძირითადი ჯარგვალი მოგვიანებით შეცვალა ორსართულიანმა, ანუ ზედშედგმულმა ჯარგვალმა, რომლის პირველ სართულზე საქონლის სადგომია განთავსებული, მეორეზე კი — საკუთრივ საცხოვრე-

ბელი. იგი რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება: საძინებელი ოთახები და სარძიე ანუ რძის პროდუქტების დასამუშავებელი და შესანახი ოთახი. ასეთ ოთახს კედელზე დატანებული აქვს ნასვრეტები ჰაერის ცირკულაციისათვის პროდუქტების დაცვის მიზნით. მეორე სართულს გააჩნია ღია ბუხრიანი ოთახიც მიწური იატაკით.

1950-იანი წლებიდან ჯარგვალური სახლების გვერდით ფიცრული სახლებიც შენდება, რომლებიც თანდათანობით მთლიანად ცვლის ჯარგვალურს. ახალი მთური საცხოვრებელი სახლი ჰიგიენური თვალსაზრისითაც ცვლილებებს განიცდის. ჯარგვალური ნაგებობანი ყავრით იყო გადახურული. ახალი სახლები თუნუქით ან შიფერით იხურება.

მემთევრთა შრომა-საქმიანობა მეტად რთულია. იგი შედგება მთაში, ანუ იაილებში მცხოვრები ქალების, მამაკაცებისა და ბავშვებისაგან, რომელთაგან თითოეულს განსხვავებული მოვალეობები, ფუნქციები აკისრია.

მთაში მთავარი საქმიანობაა საქონლის მოვლა-პატრონობა და რძის პროდუქტების დამზადება. საქონლის მოწველა და მისგან პროდუქტების დამზადება უპირატესად ქალის მოვალეობას შეადგენს. მამაკაცის ძირითადი საქმიანობაა შეშის მოტანა, საცხოვრებელი და საქონლის სადგომების მშენებლობა და შეკეთება, სოფელთან პერიოდული კავშირი.

როგორც მთაში (იაილებში), ასევე ბარში, ანუ სოფლად რძისგან მზადდება შემდეგი პროდუქტები: კარაქი, ყველი, ნაღული, ყურუთი, კაიმალი. კარაქი მიიღება თავმოუხდელი რძით დამზადებული მანვნიდან და ნალებიდან, რომლისათვის ამჟამად სპეციალურ, ქარხნული წარმოების რძის სახდელ მანქანებს, ანუ სეფერატორებს იყენებენ. ნალებისაგან კარაქის მისაღებად კი გამოყენებულია ტრადიციული ხისა და თიხის ჰორიზონტალური ტიპის სადღვებელები.

მემთევრი აჭარელი ქალი თავისუფალ დროს სხვა საქმიანობასაც ეწევა. კერძოდ, მატყლისა და ბამბის ძაფისაგან რთავს და ქსოვს სადა და ორნამენტირებულ წინდებს, ამზადებს ნაქარგობას. ადრე ამ საქმიანობაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ გასათხოვარი გოგონები.

მთაში ქალის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, მამაკაცთან ერთად, იყო და რჩება ბოსტნეულის მოყვანა (ხახვი, ნიორი, პრასი, ქინძი, მაკიდო). უკვე ორ ათეულ წელზე მეტია გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მესაქონლეები კარტოფილის მოყვანასაც მისდევენ.

შუამთობა ძირითადად მესაქონლეობასთან დაკავშირებული დღესასწაულია, რომელიც მთაში ყოფნის შუა პერიოდში (ძვ. სტილით აგვისტოს პირველი კვირა) ტარდება და ამიტომაც შუამთობა ეწოდება. შუამთობა ადრე ცნო-

ბილი იყო მემხლიანობის, მენხლიანობის სახელწოდებითაც.

შუამთობა გართობა-სანახაობითი დღესასწაული იყო და ხალხური სიმღერები, ცეკვები მის არსებით და აუცილებელ ატრიბუტს შეადგენდა. სიმღერებიდან სრულდებოდა „ვოდელია“, „ვოსა“, „დედოფლის სიმღერა“, „შვიდკაცა“, „აბადელია“, „ჩაქურა“, „ხასანბეგურა“ და ა.შ. ცეკვებიდან გამოირჩეოდა: „ხორუმი“, „ქალური“, „ლეკური“, „შამილი“, „ბაღდადური“, „ქურთბარი“, „ჯაყდანანა“ და სხვ.

შუამთობის დღესასწაულის სხვა მთავარ მომენტს შეადგენდა შეჯიბრი შაირების, ლექსების, გამოცანებისა და ანდაზების თქმაში, აგრეთვე, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება: ჭიდაობაში, დოღში, ხელის გადანევაში და სხვ.

შუამთობას სხვა საინტერესო ყოფითი რიტუალებიც გააჩნდა. ამ დროს ხდებოდა სარძლოს გამორჩევა, ადრე შერჩეული სარძლოს მთაში მიპატიჟება, და ნათესავთა იაილებში გადაპატიჟება, გაცნობა და ა.შ.

ტურისტული და ეთნოგრაფიული თავისებურებანი ასაღულია ფილმში - **ნიგაზეული**:⁵³ ნიგაზეული აჭარის მთიანეთის თვალწარმტაცია, მდიდარი ისტორიული წარ-

⁵³ ლორია მ. ფილმი: **ნიგაზეული**, 2007.

სულისა და აჭარის მმართველთა, თავად ხიმშიაშვილთა საგვარეულო სოფელია. ადმინისტრაციულად შედის შუახევის მუნიციპალიტეტის ზამლეთის თემში. იგი მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს, გურია-აჭარის მთის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს. სიმაღლე ზღვის დონიდან 1100 მეტრამდეა.

აქედან ისტორიულად ცნობილი გზები მიემართება, ხულო-გოდერძის, ღორჯომის, ბახმაროს, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქართლისაკენ; მეორე გზა ისტორიისა და კულტურის ძეგლებით მდიდარ სხალთის ხეობაში და ფოცხოვ-შავშეთ-იმერხევში.

სოფლის ფართობი 1133 ჰექტარია, აქედან სახნავ-სათიბ-სადოვრებად და ხეხილის ბაღებად გამოიყენება 223 ჰექტარი, ტყის მასივებს უკავია 909 ჰექტარი.

ნიგაზული ქ. თბილისიდან რიკოთი-ქუთაისი-ბათუმის გავლით 464, ბორჯომი-ახალციხე-გოდერძის გავლით 237, ხოლო ქ. ბათუმიდან 80 კილომეტრითაა დაშორებული. იგი რთული რელიეფით გამოირჩევა.

სოფელი მთის საშუალო ზომის სარტყელშია. ზაფხულში ჰაერის საშუალო ტემპერატურა +25-28, ხოლო ზამთარში +5 - -5 გრადუსია. ზამთარში თოვლის საფარი 1-დან - 2,5 მ-მდე აღწევს.

სოფლის შემოგარენი დაფარულია ხშირი ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებით.

ტყეების სიუხვე, მრავალფეროვნება, დიდი ოდენობით ხეხილის ნარგავები და ბაღები, ღელეები და წყაროები, ახლოს ჩამდინარე აჭარისწყალი, სოფლის შეღრმავება კარათის ქედში, გრილი ჰაერის დამახასიათებელ მიკროკლიმატს ქმნის.

დასახლების თვალსაზრისით სოფელი სტრატეგიული პრინციპითაა შერჩეული. სამი მხრიდან დაცულია კლდოვანი მთებითა და ხშირი ტყეებით. სამხრეთისაკენ ჰორიზონტის გახსნილობა საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს ხულო-გოდერძის, სხალთა-ხიხან-შავშეთის, ქედა-ბათუმის მიმართულებით მიმავალი შიდა და გარე სამიმოსვლო გზები, რასაც წარსულში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ისტორიული წყაროები სოფლის დაარსების ზუსტ დროს არ აფიქსირებენ: XVIII საუკუნის დასაწყისიდან ნიგაზეული ზემო აჭარის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და მმართველთა სამკვიდრო ცენტრია. სოფელი რომ უძველესია, ამაზე მეტყველებს გადმოცემები საყდრის უბანში ეკლესიის არსებობის შესახებ და მისი გალავნის ნაშთებად დარჩენილი თლილი ქვები, უზარმაზარი ქვევრები და რაც მთავარია, აქ მცხოვრები ხიმშიაშვილების დანიანურება.

2007 წლის 3 ივნისს, ნიგაზეულში ჩატარდა სახალხო დღესასწაული სელიმობა.

სელიმობა, როგორც სახალხო დღესასწაული აღინიშნება 1996 წლიდან. ამ დღეს ნიგაზეულის მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ ხიმშიაშვილებს ეპატიჟება და იმართება სახალხო მხიარულება.

სოფელი, გარდა ცნობილი მოღვაწის სახელისა, გამოირჩევა თავისი ულამაზესი ბუნებრივი ლანდშაფტითა და ღირშესანიშნაობებით. სწორედ ზემოთნახსენები გარემოებების გამო ნიგაზეულის მოსახლეობამ, არასამთავრობო ორგანიზაცია CHF - საერთაშორისომ, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლასთან არსებული ტურისტული სააგენტო - **UNItur-is** და კომპანია იმპერას დახმარებით გადაწყვიტეს სახალხო დღესასწაული - სელიმობის საშუალებით მოეხდინათ ეკო, აგრო და ეთნოგრაფიული ტურიზმის პოპულარიზაცია, მოეწყოთ ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა გაყიდვა.

ნიგაზეულში 289 კომლი ცხოვრობს, 1200-ზე მეტი მცხოვრებით.

სოფლის მოსახლეობას კარად აქვთ მოწყობილი მეურნეობა. დიდი ოდენობით მოჰყავთ: სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, კომბოსტო, პომიდორი, კიტრი, სხვა ბოსტნეულ-ბაღჩეული; სხვადასხვა ხარისხის ხარისხოვანი ხილი: მსხალი, ვაშლი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, კომში, ატამი, ლელვი, ყურძენი, ნიგოზი და სხვა. ყველა ოჯახს ჰყავს მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი და ამზა-

დებენ ყველს, კარაქს, ნადულს, რძეს, მანონს, მოშენებულ
ლი ჰყავთ ფუტკარი და აწარმოებენ ნატურალურ თაფლს.
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამატი გააქვთ ბა-
ზარზე.

აქვთ კეთილმოწყობილი, ორსართულიანი სახლები,
უმეტესობა ხის. სოფელში არის 1 საჯარო და 3 დაწყებითი
სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, სპორ-
ტული მოედანი, სავაჭრო ობიექტები, წყლის და ელექტრო
ნისქვილები. სოფელი დაფარულია ელექტრო, სატელევი-
ზიო და სატელეფონო ქსელით.

ბათუმში ყოველდღიურად დადის 4 სამარშრუტო
მიკრო-ავტობუსი.

ნიზაგეულს ტურისტულ-საექსკურსიო სანახაობისა
და დასვენებისათვის ხელსაყრელი პირობები და მდებარე-
ობა გააჩნია. აქ არის ისტორიული გვარის-ხიმშიაშვილე-
ბის სამკვიდრო. ამ გვარის ყველაზე დიდი მოღვაწის სე-
ლიმის საფლავი. საგვარეულო ციხე-გალავანი და მისი სა-
ხელობის მუზეუმი. ხშირი წინვოვანი ტყეები და ნიგვზის
კორომები ხელსაყრელია დასვენებისათვის. დამსვენებ-
ლებისა და დამთვალიერებლების კომფორტული ღამის-
თევით მომსახურებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქ-
ნას 50-მდე ხის სახლი.

პირველი - საექსკურსიო მარშრუტები მიემართება
სხალთის ხეობაში, სადაც მნახველს ელოდება-სხალთაში

ეთნოგრაფიული მუზეუმი, ვერნების ეკლესიის ნანგრევები; ხიხაძირში ვარდიციხე, კალოთაში-ეკლესიის ნაშთი, ხიხანის დიდებული ციტადელი, ბაკოში-სერიყანაში სელიმის თავისმოკვეთის მემორიალი, მთისუბანში-შერიფის საფლავი, თხილვანაში აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია.

მეორე - მარშრუტი-ხულოს მიმართულებით, აქედან გზები მიემართება ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სოფლის-დიდაჭარისაკენ და გოდერძის უღელტეხილისაკენ.

აჭარისათვის, სადაც ტურიზმი სეზონურია, მნიშვნელოვანია სახალხო დღესასწაულების სამუალებით მოვახდინოთ ტურისტული მომზიდველობის ზრდა, ახალი უნიკალური ტურისტული პროდუქტების შეთავაზება დამსვენებელზე.

სახალხო დღესასწაულები და ფესტივალები მრავალფეროვანს ხდის ტურისტულ მომსახურებას, ხელი ეწყობა ტურიზმის ისეთი სახეების განვითარებას როგორცაა: ეკო ტურიზმი, აგრო ტურიზმი და ეთნოგრაფიული ტურიზმი. შესაძლებელი ხდება პოპულარული გავხადოთ ჩვენი ისტორიული მხარე.

კულტურის ვიდეომონიტორინგის მეთოდის გამოყენებითააა მომზადებული ქვემოთ დახასიათებული ორი

ფილმი. **დათვისფება თხილამური:**⁵⁴ ზამთრის სანტრანსპორტო საშუალებათაგან აღსანიშნავია ე. წ. „დათვისფება თხილამური“. ასეთი თხილამურის გარეშე დიდ-თოვლიან ზამთარში გადაადგილება შეუძლებელია. იგი საზამთრო გზის გაყვანის დროსაც შეუცვლელია.

„დათვისფება თხილამური“ ოჯახში იმდენს აკეთებდნენ, რამდენი ნევრიც იყო. თხილამურს ლეკის ხისაგან ამზადებდნენ. არჩევდნენ „ობოლ ხეს“, ანუ მინიდან უტოტოდ ამოზრდილ ხეს. მას შუაზე სიგრძივად გააპობდნენ (სიგრძე 80 სმ), ორივე ბოლოს შანთით გახვრეტდნენ და ბოლოებს კანაფის ძაფით შეართებდნენ. შუაგულს თოკით ან ღვედით დაბლანდავდნენ და თასმებით ფეხზე დაიმაგრებდნენ.

რძის პროდუქტები:⁵⁵ აჭარაში ადგილობრივი ხალხური კულინარია ძირითადად მესაქონლეობაზე დამოკიდებულ ხასიათს ატარებს. კვების რაციონში ყველაზე პროდუქტიული რძე და რძის პროდუქტებია. აქ მოიხმარნენ ყველა შინაური ცხოველის (ძროხის, ცხვარის, კამეჩის, თხის) რძეს. თუმცა უპირატესობა მაინც ძროხის რძეს ენიჭება. ყოველ ოჯახს საშუალოდ 15-20 ძროხა

⁵⁴ ლორია მ. ფილმი: დათვისფება თხილამური (ჭვანის ხეობის ვიდეო მონიტორინგი), 2011.

⁵⁵ ლორია მ. ფილმი: რძის პროდუქტები (ჭვანის ხეობის ვიდეო მონიტორინგი), 2012.

ჰყავს, რაც ოჯახს უზრუნველყოფდა. ყაირათიან და მომჭირნე ოჯახს რძის პროდუქტები გასაყიდადაც კი გააქვს. რძის პროდუქტების დამზადება სპეციალურად ამ საქმიანობისათვის განკუთვნილ ოთახში სარძიეში/ ქილერში ხდება. ამ ოთახს სპეციალურად ააქვს დატანებული ჭუჭრუტანები, რადგან რძის პროდუქტების შენახვისათვის აუცილებელი ჰაერის რეგულარული მოძრაობა. სარძიეში რძის პროდუქტების დასამზადებლად შექმნილია შესაფერისი გარემო. უშუალოდ, სარძიეს კედლებზე მიმაგრებულ თაროებზე მოთავსებულია ყველა საჭირო ჭურჭელი, ასევე — სუფევს განსაკუთრებული სისუფთავე და ა. შ.

სარძიეში მზადდება იალი და ნარეკა, ყველი, დო (ნადული), კაიმალი, მანონი, ყურუთი და სხვ.

მათი დამზადება საკმაოდ შრომატევადი საქმეა, რომელიც დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს, ამიტომ მათ ხშირად ოჯახის უფროსი ქალი ამზადებს. ფილმში დეტალურადაა განხილული მაგალითად: 1. ყველის დამზადება- აჭარაში ყველი რამდენიმე სახის მზადდება. ყველის გავრცელებული სახეობაა ე.წ. ჩლეჩილი, რომელსაც ლავაშსაც უწოდებენ. ასეთი ყველი ნაღებმოხდილი რძისაგან მზადდება. რძის მაღალ ტემპერატურაზე გაცხელების შედეგ ხდება მისი წელვადობის მიღწევა. თბილი ყველი იგრიხება და იწნება. სიტყვა

ჩლეჩილი მისი თვისებებიდან, ფენებად დაჩეჩვა-დაჩილ-ვიდან უნდა მომდინარეობდეს. ასევე მზადდება სხვა სახეობის ყველი, რომელიც გაცილებით მაღალი ხარისხისაა ვიდრე ჩლეჩილი ყველი. მას ნაღებმოუხდელი რძისაგან ამზადებენ. იგი „ჩაკვეთილი ყველის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს ყველი საკმაოდ ცხიმოვანია და რადიკალურად განსხვავდება სხვა ადგილობრივად დამზადებული ყველისაგან. საერთოდ, ადგილობრივი ყველის ნაკლებცხიმოვანობის მიზეზი უკანასკნელ პერიოდში სეფერატორის მასიური მოხმარებაა, რომელიც რძეს მაქსიმალურად ასუფთავებს ცხიმისაგან.

ზოგჯერ ჩლეჩილი ყველი რძის გადამჟავების ან სხვა მიზეზის გამო ფორმას და ხარისხს კარგავს. ასეთ ყველს „ფუშტურო/ფუშრუკო“ ყველი ეწოდება. ფუშტურო ყველს აჭარულ კერძს ბორანოს დასამზადებლად მოიხმარენ. ასევე მისგან მზადდება „გადაზელილი ყველი“.

„გადაზელილი ყველის“ დამზადებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფუშტურო ყველის დაძველებას ანუ „დაღპობას“. ამისათვის ფუშტურო ყველს ცელოფანში ისე შეკრავენ, რომ „ყველს სული ვერ მოეთქვა“. დაძველების პროცესის დასრულებისთვის ყველი წელვადი უნდა იყოს. დაძველებულ ყველს ადუღებულ რძეში მოათავსებენ და ურევენ. ხანგრძლივი დუღილის შემდეგ ყველი

თაფლის სანთლის ფერს მიიღებს. მალფუჭებადობის თავიდან ასაცილებლად ყველს „კარგად მისცემენ მარილს“ და შესაფერის ჭურჭელში ჩაასხამენ.

2. დო. ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი შრატის ნელ ცეცხლზე დიდხანს დუღილით მიიღება დო (ნადული). დამარილებულ დოს მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში – გვარდაში ათავსებენ. ნაძვის ხისაგან დამზადებული გვარდები რძის პროდუქტებს განსაკუთრებულ სუნსა და არომატს აძლევს.

3. კაიმალი. ახალმონველილ რძეს სეფერატორში ატარებენ კაიმალის (არაჟნის) მისაღებად, რის შედეგადაც რძეს ნაღები მთლიანად ეცლება. რამდენიმე დღეს გრილ ადგილზე გაჩერებული ნაღები საუკეთესო კაიმალია.

4. ყურუთი. რძის პროდუქტების გამხმარი სახით შენახვის საუკეთესო და ერთადერთი მაგალითია ყურუთი. იგი მზადდება-კაიმალისა და სიმინდის ფქვილისაგან მოადულებდნენ ხავინს. როცა ხავინი დაშუშდება, დაუმატებენ დოს (ნადულს), გაცივებულ მასას კი ბლომად იალს (კარაქს) შეაზეღენ და მისცემენ მოგრძო-ოვალურ ფორმას. საბოლოო სახის მიღებამდე იგი ჩრდილში ხმება.

დასკვნები

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ანთროპოლოგიური ფილმების შექმნის პროცესი დააჩქარა და აქცია წარმოების ნაწილად, და გვამცნო, რომ ფილმი არის მეცნიერული ტექსტის პრინციპულად ახალი, ნოვატორული სახე. სხვადასხვა ვიზუალური მასალის გამოყენებამ ანთროპოლოგიური კვლევის პროცესში საფუძველი დაუდო ვიზუალური ანთროპოლოგიის ჩამოყალიბებას. ვიზუალური ანთროპოლოგია ინტერდისციპლინარული სამეცნიერო მიმართულებაა, რომელშიც თავმოყრილია სახელოვნებო, სოციალური და ჰუმანიტარული დარგები. ვიზუალური ანთროპოლოგიის საგანია ეთნოგრაფიული ფოტოების, ჩანახატების, ფილმების შექმნა და ანალიზი.

ფილმ მულტიმედიური საქართველოში ზოგადად განხილულია საქართველოში მცხოვრებ სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, ებრაელებთან, ბერძნებთან, ქურთებთან, ქისტებთან, უდიებთან, უკრაინელებთან და ოსებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები: წარმოშობის ისტორია, საქართველოში დასახლება და განსახლება, საქმიანობა, რელიგიური ცხოვრება და მოცემულია მოკლეთ ეთნოგრაფიული ეტიუდები. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით უმჯობესი იქნებოდა ამ ეთნოსებთან

დაკავშირებული ტრადიციების უფრო სიღრმისეულად გაშუქება. თუმცა ამ ფილმების ფორმატიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, ამდაგვარი ვიდეო პროდუქციის მოზადება ძირითადად ემსახურება და ხელს უწყობს ეროვნებათა-შორისი ურთიერთობების პოპულარიზაციას და შესაძლებელია მისი გამოყენება სასწავლო პროცესში.

ზოგადად ანთროპოლოგიური ფილმის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე რეჟისორებმა და ანთროპოლოგებმა - რობერტ ფლაერტმა, გრეგორი ბეიტსონმა, მარგარეტ მიდმა, ჟან რუშმა, ჯონ მარშალმა, რობერტ გარდნერმა, იან დანლოპმა, ტიმოთი ეშმა, ასენ ბალიქსმა და ა.შ. მათი შემოქმედება არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება იქცეს სხვადასხვა ხალხისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული თავისებურებანი კინოშედევი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანთროპოლოგიური თუ ეთნოლოგიური ფილმის განვითარებაში სათანადო მონაწილეობა მიიღეს ქართველმა დოკუმენტალისტებმა. პირველ რიგში საყოველთაოდ ცნობილმა კინორეჟისორმა მიხეილ კალატოზიშვილმა. ასევე, მირიან ხუციშვილმა, სოსო სტურუამ და სხვებმა.

განხილული მასალების განხილვა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ანთროპოლოგიური კვლევის პროცესში სათანადო ვიზუალური მასალის გამოყენება (საველე-

ეთნოგრაფიულ მასალებთან თუ წერილობით წყაროებთან შედარების გზით) საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. ამ კუთხით, ვიზუალური ანთროპოლოგიის კვლევის პრინციპების დანერგვა თანამედროვე ქართულ ეთნოლოგიაში/ანთროპოლოგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

ბამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. აბულაძე თ. ფილმი: ნატერის ხე, 1976;
2. აბულაძე ქ., ქართველ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა 1921-1940 წლებში, საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 2000;
3. ამირეჯიბი ნ. სინემატოგრაფიიდან კინემატოგრაფიამდე, თბილისი, 1990;
4. აჭარის ა. რ. მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის არქივი: ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩანერის წიგნი: 1925-1968 წლები;
5. ბათუმის მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილება: ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩანერის წიგნი: 1968-2009 წლები;
6. გარაყანიძე ი. საქართველოში ბერძენთა გადმოსახლების ისტორია (XVIII-XX).- ბერძენები საქართველოში, თბილისი, 2000;
7. გოგაძე კ. ვასილ ამაშუკელი (კინოოპერატორი), თბილისი, 1954;
8. გორდეზიანი რ. ბერძნულ ქართული ურთიერთობების ისტორიისათვის.- ბერძენები საქართველოში, თბილისი, 2000;
9. გოცირიძე ვ., მახარაძე ი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი, თბილისი, 2006;

10. დოლიძე გ. კინო.- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1981;
11. დოკუმენტურ ფილმში „მრავალეთნიკური საქართველო“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობა, 2007;
12. ეთნოსები საქართველოში, თბილისი, 2008;
13. ეროვნული უმცირესობების დასაცავად რეკომენდაციები მზადაა (ნანილი პირველი).–<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6632&lang=geo>;
14. ვადაჭკორია შ., ებრაელთა საკითხი და ქართული სინამდვილე (1921-1940), გამომცემლობა მემატთანე, თბილისი, 2006;
15. ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბილისი, 2003;
16. ზურაბაშვილი ლ. ეროვნებათშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში, თბილისი, 1989;
17. თავდიშვილი რ. ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთ ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, 1940;
18. თეთვაძე შ., თეთვაძე ო., სომხები საქართველოში, თბილისი, 1998;
19. თვალჭრელიძე გ. ექსპრესიული ეკრანი (მიხეილ კალატოზოვის მხატვრული მეთოდი).– კინემატოგრაფიული ძიებანი, თბილისი, 1989;

20. თოფჩიშვილი რ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, 1997;
21. თოფჩიშვილი რ. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბილისი, 2008;
22. იველაშვილი თ., ცაგარეიშვილი თ., გვიხმობს მამული მამა-პაპათა (ედღენება ისრაელში წასულ ქართველ ებრაელებს და მათ შთამომავლობას), თბილისი, 1995;
23. იეზიდები საქართველოში, გაზეთი ლიბერალი (20.02.2013).<http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/114034/>;
24. კალატოზიშვილი მ. ფილმი: ჯიმ შვანთე, 1930;
25. ლორია მ. დოკუმენტურ ფილმში „მრავალეთნიკური საქართველო“ ასახული ეთნორელიგიური ასპექტები (ოსები).- ჩვენი სულიერების ბალავარი (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი, 2009;
26. ლორია მ. დოკუმენტურ ფილმში „მრავალეთნიკური საქართველო“ ასახული ისტორიული და ეთნოკულტურული ასპექტები (ბერძნები).- ჩვენი სულიერების ბალავარი, II (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი, 2010;
27. ლორია მ. დოკუმენტური ფილმის ანთროპოლოგიური ინტერპრეტაცია (ქისტები).-ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, III, ბათუმი, 2011;
28. ლორია მ. დოკუმენტურ ფილმში „მრავალეთნიკური საქართველო“ ასახული ისტორიული და ეთნოკულ-

ტურული ასპექტები (უკრაინელები).- ჩვენი სულიერების ბალავარი, III (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი, 2011;

29. ლორია მ. ფილმი: დათვისფეხა თხილამური (ჭვანის ხეობის ვიდეო მონიტორინგი), 2011;
30. ლორია მ. ფილმი: რძის პროდუქტები(ჭვანის ხეობის ვიდეო მონიტორინგი), 2012;
31. ლორია მ. ფილმი: ლპური დასახლება აჭარაში (გოდერძის ულელტეხილი - ბეშუმი)", 2007;
32. ლორია მ. ფილმი: ნიგაზეული , 2007;
33. მაისურაძე გ., საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.), თბილისი 1999;
34. მესხიშვილი ც., ებრაელთა უბანი ახალციხეში.- მესხეთი (საისტორიო კრებული), ახალციხე, 1997;
35. ნეშუმაშვილი მ. უდიური ზღაპრები, თბილისი, 2009;
36. ნეშუმაშვილი მ., ნეშუმაშვილი ე., უდიური თამაშობები, თბილისი, 2009;
37. ნეშუმაშვილი მ., უდიური დამწერლობა, თბილისი, 2009 ;
38. ნეშუმაშვილი მ., უდიები, თბილისი, 2010;
39. პაპისმედოვი ი., თვითნასწავლი მხატვარი შ. კობიაშვილი და მისი შემოქმედება.- საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, II, თბილისი, 1941;
40. პაპისმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, განცდილი, თელავი, 1986;
41. ჟვანია გ. ქართული დოკუმენტური კინო, თბილისი, 1990;

42. რელიგიები საქართველოში, თბილისი, 2008;
43. სანიშვილი ნ. ფილმი: ხევისბერი გოჩა, 1964;
44. საქართველოს იეზიდები.- <http://sarhad.ge/main.php?mode=12&cat=culture&sub=17&id=43&lang=ge>;
45. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38.- [http:// www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=23](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=23);
46. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, 1940; II, 1941; III, 1945, თბილისი ;
47. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, თბილისი, 2002-2003, ტ. I-II;
48. სეფიაშვილი ო. ჯიმ შვანთე ფილმის აპოლოგია და ინტერპრეტაციის ცდა.- ეკრანი და დრო, თბილისი, 1969;
49. სტურუა ს. ფილმი: ქალების ნადი, 2001.
50. სტურუა ს. ფილმი: ფანდური, 2001.
51. სტურუა ს. ფილმი: გოდორი, 2001.
52. სტურუა ს. ფილმი: თამბაქო და ატრია, 2001.
53. სტურუა ს. ფილმი: მაჭახელი, 2002.
54. სტურუა ს. ფილმი: ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, 2002.
55. სტურუა ს. ფილმი: სარფი მოლენა, 2002. I-II.
56. სტურუა ს. ფილმი: მეცხვარის ნაბადი, 2005.
57. სტურუა ს. ფილმი: სვანური ქუდი, 2005 წ.

58. სტურუა ს. ფილმი: საახალწლო ჩვეულებანი, 2005.
59. სტურუა ს. ფილმი: გაღმამხარელნი, 2005.
60. სტურუა ს. ფილმი: შორ-ვართ, 2006.
61. სტურუა ს. ფილმი: მარიამობა არ დაგვიშლია, 2006.
62. სტურუა ს. ფილმი: ნალვერდალი, 2007.
63. სტურუა ს. ფილმი: აჩაჩა ურემი, 2007
64. სტურუა ს. ფილმი: გუდის ყველი, 2008
65. სტურუა ს. ფილმი: ქვის კეცი, 2008.
66. სტურუა ს. ფილმი: დოლი, 2008.
67. სტურუა ს. ფილმი: ბორანი რიონზე, 2008.
68. სტურუა ს. ფილმი: კაკ-ენისელი, 2008.
69. ფუტკარაძე თ. აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, ბათ., 2006;
70. ფხაკაძე მ., ბერძენიშვილი ლ. ბერძენთა საქართველოში განსახლების თანამედროვე მდგომარეობა და ტენდენციები.- ბერძენები საქართველოში, თბილისი, 2000;
71. ხანანაშვილი დ. ქართველ ებრაელთა სამადლობელი.- განთიადი, №5, 1988;
72. ხუციშვილი მ. მთიულეთ-გუდამაყარი, შავ-თეთრი, 35 მმ. დაახლოებით 30 წთ., 1978;
73. ხუციშვილი მ. ყველიერი საქართველოში, შავ-თეთრი, 35 მმ. 30 წთ., 1986–1988;
74. ხუციშვილი მ. ხევსურეთი, შავ-თეთრი, 35 მმ. დაახლოებით 80 წთ., 1995;

75. ხუციშვილი მ. ოსეთი , შავ-თეთრი, 35 მმ. დაახლოებით 10 ნთ., 1975;
76. ხუციშვილი ქ. რელიგიური სიგუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბ., 2004;
77. ჯაჭვლიანი ს., ჯაჩვლიანი ბ. ფილმი: სვანი, 2007;
78. ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა, თბილისი 1996;
79. Balikci A. The Legacy of Margaret Mead: the Case of Visual anthropology. In: Bulletin of the International Committee on Urgent Anthropological Research. Vienna. Vol. 8., 1987;
80. Balikci A. Anthropologist and Ethnographic Filmmakers. In: Anthropological Filmmaking. J' Rollwagen, ed. NY Harwood, 1988;
81. Loria M. Historical and ethnocultural aspects in the documentary Multinational Georgia (Azeri).- Innovative Aspects of Study of the Black Sea Countries Culture, History, Anthropology, Literature and Linguistics, Blagoevgrad/ Batumi, II, 2012;
82. Mead M., Visual Anthropology in a Discipline of Words. In: Principles of Visual Anthropology. P. Hockings, ed. Mouton, 1995
83. www.udi.ge;
84. Бромлей Ю. В. Этнос и Этнография, Москва, 1973;

85. Бромлей Ю. В. Очерки теории этноса, Москва, 1983;
86. Григориева Г. А. Этноязыковые процессы В Чувашской АССР.- Расы и Народы, ~ 14, Москва, 1984;
87. Лория М. Этнографические зарисовки и их значение в визуальной антропологии.- Аудиовизуальная антропология: теория и практика, Москва, 2008;
88. Шамиладзе В., Лория М. Отражение этнографического аспекта в грузинском документальном кино (30 годы XX века).- Археология, Этнография и Фольклористика Кавказа, Махачкала, 2007.

MANUCHAR LORIA

**MULTIETHNIC GEORGIA AND THE
GEORGIAN ETHNOGRAPHIC LIFE**

Visual anthropological research

The development of information technology undue hurry process of creating of Anthropological films and make them part of production, it notice that film is principally new, innovatory face of science text. Using of different visual materials in Anthropological research process laid the groundwork in forming of Visual Anthropology. Visual Anthropology is interdisciplinary science direction, which consists of Artistic, Social and Humanitarian fields. The subject of Visual Anthropology is production and analysis of Anthropology photos, sketches and films. The famous American anthropologist Margaret Mead wrote that: “conception of visual Anthropology, is taken as the culminating point of a continuous process of reflection, pervaded by imperatives but also by ambiguities, subtleties and reversals.”

There is first time and fully represented issues related to multiethnic Georgia according Georgian films and ethnographic life of Georgians. For example 9 Documentary films, which were taken in 2007 about Ethno history and culture of ethnic minorities living in Georgia - Armenians, Azerbaijanians, Jews, Greeks, Kurds, Kists, Ukrainians and

Ossetians. Documentary films cycle were produced by Georgian Social Herald under National Integration and Tolerance program founded by USAID and implemented by United Nations Organization. For Georgian ethnography was discussed : “Mogzauroba Rachalechkhums” (Traveling in Rachalechkhum) by Akaki Tsereteli, “Jim Shvante”, “Khevisberi Gocha”, “Natvris khe”, “Svani”, (“Mtiulet Gudamayari”, “Yvelieri Saqartveloshi”, “Khevsureti”) by Mirian Khutsishvili, (“Etnografiuli memkvidreoba”, “Datva-boyva”, “Sarfi molenimetskhvaris nabadi”, “Svanuri kudi”, “Saakhalwlo chveulebani” and so on) by Soso Sturua, and our produced films: “Alpuri dasakhleba Acharashi” (Pass of Goderdzi-Beshumi), “Nigazeuli”, “Datvifekha tkhilamuri” “Rdzis produqtebi”.

Using of suitable visual materials (comparing with field ethnographical materials or with letterer sources) in process of anthropological research is result of making interesting decisions. From this point of view planting of research principles of visual Anthropology in modern Georgian Anthropology/Ethnology is very important.

Book is interdisciplinary and is intended for Anthropologies/Ethnologies, Culture researchers, Historians, Producers, Journalists and Specialist of different sciences. Also for students and a wide circle of public concerned.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com